ცნობილია, რომ მსოფლიოში (ძირითადად განვითარებად ქვეყნებში) ყოველწლიურად 12.2 მილიონი ადამიანი იღუპება არაგადამდები დაავადებების გამო, თანაც იმ ასაკში, როცა აქტიური მუშაობა შეუძლიათ [10]. ქრონიკული დაავადებების ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეულია ისეთი პროფესიული რისკის ფაქტორებით, როგორცაა ხმაური, კანცეროგენული ნივთიერებები, სითბური ზემოქმედება და ეროგონომიკული რისკები. აღნიშნულ ტვირთში შედის:

- წელის ტკივილის ყველა შემთხვევის 37%;
- სმენის დაკარგვის შემთხვევათა 16%;
- ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების შემთხვევათა 13%;
- ბრონქული ასთმის შემთხვევის 11%;
- სხეულის დაზიანებების შემთხვევათა 8%;
- ფილტვის კიბოს შემთხვევათა 9%;
- ლეიკემიის შემთხვევათა 2%;
- დეპრესიის შემთხვევათა 8%.

სამუშაოს ადგილთან დაკავშირებული ჯანდაცვის პრობლემები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ეკონომიკური ზარალის 4-6% შეადგენს. დასაქმებულთა 70%-ს არ გააჩნია ჯანმრთელობის დაზღვევა [10].

ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით ყველაზე გავრცელებული პროფესიული პათოლოგიებია:

1) **კანის პათოლოგიები - კანის კიბო, ეგზემა, ინფექციები, ანთეზა, კონტაქტური დერმატიტი, ნეკროლი**

რისკის ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომელთაც სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უნევთ ხანგრძლივად ღია გარემოში საქმიანობა (სოფლის მეურნეობასა და სამშენებლო სექტორში დასაქმებულები, მებღვაურები და მეთევზეები, დამხმარე მუშები, ბირთვულ ინდუსტრიაში დასაქმებულები).

პრევენციის ღონისძიებებია - კანის ჰიგიენა: ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება, ხელების ნაზი გახეხვა, რადგან ღრმა წმენდამ შეიძლება გამოიწვიოს ექსკორიაციები და ეროზიები. მიზანშეწონილია ხელის ლოსიონების გამოყენება - ისინი უნარჩუნებს კანს ნორმალურ სტრუქტურას.

2) **რესპირაციული დაავადებები - პროფესიული ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (ფქოდ-ი), ტუბერკულოზი, მგზოთელიოზი, სილიკოზი, პნევმონიტი, ფარინგიტი**

რისკის ჯგუფი - დასაქმებულები, რომელთაც უნევთ ყოფნა დახშულ ან ცუდად ვენტილირებულ გარემოში, სადაც არის კვამლი, მტვერი, ორთქლი, ნისლი.

პრევენცია - ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (რესპირატორები), ინჟინრულ-ტექნიკური ღონისძიებები (ვენტილაცია, ჰერმეტიზაცია, ავტომატიზაცია), დასაქმებულთა განათლება და დროული ინფორმირება.

3) **სმენის დაქვეითება**

რისკის ჯგუფი: დასაქმებულები ტექსტილის და მეტალურგიულ წარმოებაში, მანქანათმშენებლობაში, გემთმშენებლობაში, სამშენებლო წარმოებაში, სამთამადნო მრეწველობაში.

პრევენცია - ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება (ყურსაცმი, ჩაფხუტი, ანტიფონი), ინჟინრულ-ტექნიკური ღონისძიებები (ჰერმეტიზაცია, ავტომატიზაცია), ადმინისტრაციული მონიტორინგი, მძიმე ტექნიკისა და აღჭურვილობის გამართულობა (ზედმეტი ხმაურის თავიდან ასარიდებლად).

4) **ქიმიური აგენტებით მოშხამვა**

რისკის ჯგუფი: დასაქმებულები, რომელთაც პროფესიული კონტაქტი აქვთ დარიშხანთან, ვერცხლისწყალთან, ტყვიასთან, ალიფატური ან არომატული ნახშირწყალბადების ჰალოგენურ წარმოებულებთან, ბენზოლთან ან მის ჰომოლოგებთან, აზოტის ოქსიდთან, ამიაკთან, პესტიციდებთან და სხვა).

პრევენცია - ტოქსიკური ნაერთების ჩანაცვლება ნაკლებადტოქსიკურით (მაგ., აზბესტის ჩანაცვლება ბოჭკოვანი მინით, ბენზოლის შეცვლა ტოლუოლით), ინჟინრულ-ტექნიკური ღონისძიებები (ჰერმეტიზაცია, ავტომატიზაცია), ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება.

5) **ფიზიკური ან/და ბიოლოგიური ფაქტორით გამოწვეული ჯანმრთელობის ეფექტები**

რისკის ფაქტორები: ფიზიკური - ხმაური, ვიბრაცია, რადიაცია, ექტრემალური ტემპერატურის ზემოქმედება. ბიოლოგიური - ვირუსი, ბაქტერია, სოკო, პარაზიტები და სხვა.

6) **ფსიქიკური და ქცევითი დარღვევები - დეპრესია, შფოთვა, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, სუიციდური აზრები.**

პრევენცია - დასაქმების და შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო რეგულირება (დასაქმებულ პირთა დროებითი გადაყვანა ახალ სამუშაო ადგილზე ძველი ანაზღაურების შენარჩუნებით; მკურნალობის ხელშეწყობა და კვლავ სამსახურში დაბრუნება; ახალი პროფესიის ათვისება). ასევე, მუშაობა ფსიქიკური ჯანმრთელობის პროვაიდერებთან. პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნა და სოციალური მხარდაჭერა გუნდური მუშაობის გზით. დასაქმებულთა სწორად ინფორმირება და განათლება, ბრძოლა სხვადასხვა სტიგმასთან.

7) **საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები (სამუშაო ადგილზე იძულებითი მდგომარეობით, სხეულის რყევებით, დიდი სიმძიმის აწევით გამოწვეული პათოლოგიები):**

- ბრტყელტერფიანობა (უვითარდებათ ადამიანებს, რომლებიც მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ ხანგრძლივი დროის პროცესში);
- ხერხემლის გამრუდება (უვითარდებათ დანადგართან მომუშავე პირებს, სტილისტებს);
- მენჯის დეფორმაცია, ორსულობის პათოლოგიური მიმდინარეობა, მუცლის მოშლა;
- თიაქარი (ფეხზე დგომის, ფიზიკური ძალდატანების გამო);
- ყაზობა, კოლიტი, ბუასილი, მენსტრუალურ-ოვარიული ციკლის მოშლა (იძულებითი მჯდომარე მდგომარეობის გამო);
- პროფესიული ნევროზები (უვითარდებათ ადამიანებს, რომელთაც უწევთ მსგავსი ქმედების განმეორებითი შესრულება) [4].

8) **პროფესიული კიბო: კანის (ქიმიური ნივთიერებით, მაიონიზებული გამოსხივებით გამოწვეული), ფილტვის კიბო, შარდის ბუშტის კიბო.**

პრევენცია: კანცეროგენულ ნივთიერებათა ამოღება საწარმოო პროცესიდან [5,12].

9) **ოფისში მომუშავეთა ჯანმრთელობის დარღვევები:**

ოსტეოქონდროზი - დაავადება, რომელიც ზრდასრული მოსახლეობის 70%-ზე მეტს უდასტურდება. ოსტეოქონდროზის პრევენცია მოიცავს წონის კონტროლს, ვარჯიშების რეგულარულად შესრულებას.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი - დაავადება ვითარდება მუდმივი გადატვირთვის შედეგად. **მშრალი თვალის სინდრომი** - კომპიუტერთან და აუდიო-ვიდეო ტექნიკასთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად. პრევენცია - თვალის ვარჯიში, მუშაობის პროცესში პერიოდული დასვენება და ცრემლის შემცველი ნამლები გამოყენება.

მაჯის არხის სინდრომი - მშრალი თვალის სინდრომის შემდეგ, ყველაზე გავრცელებული დაავადებაა იმ პირებს შორის, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია კომპიუტერთან. პრევენცია - აუცილებელია ხელის ვარჯიშების შესრულება და კომპიუტერთან მუშაობისას სპეციალური ბალიშის გამოყენება [3,4,8,11].

ჯანმო-ს საქმიანობა პროფესიულ და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების და დასაქმებულთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიმართულებით მოიცავს:

- დაავადების გლობალური ტვირთის შეფასებების ჩატარებას ძირითად პროფესიულ რისკებთან მიმართებით;
- დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 გადახედვაში სამუშაო რისკის ფაქტორებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის ეფექტების შეტანას;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას პროფესიულ დაავადებათა დიაგნოსტიკური და ექსპოზიციის კრიტერიუმების შემუშავებისა და პირველადი და მეორადი ჯანდაცვის პროვაიდერების მიერ ასეთი დაავადებების გამოვლენისა და აღრიცხვის გაუმჯობესების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით [10];

საქართველოში, ქვეყნის მთავრობის დადგენილებით, 2007 წლიდან ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა „პროფესიულ დაავადებათა პრევენცია“, რომლის მონიტორინგს 2011 წლის N77 დადგენილების საფუძველზე ახორციელებს სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. 2016 წლის 18 იანვრის N19 დადგენილებით დამტკიცდა შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა და შეიქმნა შრომის ინსპექტირების სამსახური.

საქართველოში გავრცელებულია საწარმოო აეროზოლებით გამოწვეული სასუნთქი სისტემის ორგანოების პათოლოგია, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მხამებით, ფარმაკო-ქიმიური საშუალებებითა და სხვა ქიმიური ფაქტორებით გამოწვეული პროფესიული დაავადებები, ბიოლოგიური და ფიზიკური ფაქტორებით განპირობებული, ცალკეული სისტემისა და ორგანოების დაძაბვით გამოწვეული პროფესიული დაავადებები, ალერგიული დაავადებები, სიმსივნეები, კანის მწვავე და ქრონიკული დაავადებები, მხედველობის

ორგანოების პროფესიული დაავადებები, ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები [2]. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა ინდუსტრიული და სოციალური ცვლილებების კონტექსტში მიმდინარეობს. დღეისთვის, ჯანმო-ს მონაცემებით, აქტიურად განიხილება 7 ყველაზე გავრცელებული პროფესიული პათოლოგია. ბოლო პერიოდში სიას შეემატა ოფისის მუშაკთა პროფესიით განპირობებული ჯანმრთელობის ეფექტებიც.

უენევის 2018 წლის კონვენცია ადგენს, თუ როგორ უნდა იყოს შემუშავებული ეროვნული პოლიტიკა, ჯანდაცვის ეროვნული სისტემები და ეროვნული პროგრამები, რათა ხელი შეეწყოს დასაქმებული მოსახლეობის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მუდმივ გაუმჯობესებას.

შსო-ს პროფესიულ სნეულებათა სიის მომავალი გადახედვა საჭიროებს პროფესიული პათოლოგიების შესახებ რეგულარულ დისკუსიას არა მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის უახლესი ცოდნის გათვალისწინებით, არამედ ყოვლისმომცველ ინფორმაციას წევრი სახელმწიფოების განახლებული ეროვნული სიების შესახებაც [9].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. პროფესიული დაავადებები, 2000-2022
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №216/6 წლის 13 ივლისი
3. Bontrup C, Taylor WR, Fliesser M, Visscher R, Green T, Wippert PM, Zemp R. Low back pain and its relationship with sitting behaviour among sedentary office workers. *Appl Ergon*. 2019
4. Celik S, Celik K, Dirimese E, Taşdemir N, Arik T, Büyükkara İ. Determination of pain in musculoskeletal system reported by office workers and the pain risk factors. *Int J Occup Med Environ Health*. 2018 Jan 1;31(1):91-111
5. Chan, Gregory, Chung Tsing, and David Koh, 'Occupational Diseases', in Tee L. Guidotti (ed.), *Global Occupational Health*, 2011; online edn, Oxford Academic
6. Kim EA, Kang SK. Historical review of the List of Occupational Diseases recommended by the International Labour organization (ILO). *Ann Occup Environ Med*. 2013 Aug 5;25(1):14
7. Kim Y, Park J, Park M. Creating a Culture of Prevention in Occupational Safety and Health Practice. *Saf Health Work*. 2016 Jun;7(2):89-96
8. Newington L, Harris EC, Walker-Bone K. Carpal tunnel syndrome and work. *Best Pract Res Clin Rheumatol*. 2015 Jun;29(3):440-53. doi: 10.1016/j.berh.2015.04.026
9. Rantanen J, Muchiri F, Lehtinen S. Decent Work, ILO's Response to the Globalization of Working Life: Basic Concepts and Global Implementation with Special Reference to Occupational Health. *Int J Environ Res Public Health*. 2020 May 12;17(10):3351
10. Romer M.I., Da Costa O.L. Occupational health activities and objectives of the World Health Organization. *AMA Arch Ind Hyg Occup Med*. 1953 Feb;7(2):111-7
11. Van Tilborg M, Kort H, Murphy P, Evans K. The influence of dry eye and office environment on visual functioning. *Stud Health Technol Inform*. 2015;217:427-31
12. World Health Organization; Occupational health; <https://www.who.int/health-topics/occupational-health>

მარინა ციმაკურიძე, მარიამ გვიგიაძე, ვივი გორგაძე, მაია ციმაკურიძე

პროფესიასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დარღვევები და მათი პრევენციის სტრატეგიათა მიმოხილვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

პროფესია და სამუშაო გარემო მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ცხოვრებაში. თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი ერთის მხრივ, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, თუმცა ქმნის ახალ საწარმოო ფაქტორებს, რომელთა ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

შეუსწავლელია. შრომის უსაფრთხოების საკითხები აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში და, შესაბამისად, იხვეწება კანონმდებლობა ამ მიმართულებით. თუ 1960 წლამდე მხოლოდ 10 პროფესიული პათოლოგია შედიოდა C121-ში (შრომითი დაზიანებების კომპენსაციის კონვენცია, 1964 წელი) ჩამოთვლილ კომპენსირებად ჯანმრთელობის პროფესიულ დარღვევებში, 1980 წლიდან, სადიაგნოსტიკური ტექნიკისა და სამედიცინო მეცნიერებების მიღწევების პარალელურად, გაფართოვდა პროფესიული პათოლოგიების ნუსხა და ნომოლოგიათა რაოდენობა 28-მდე გაიზარდა. უენევის 2018 წლის კონვენცია ადგენს, თუ როგორ უნდა იყოს შემუშავებული ეროვნული პოლიტიკა, ჯანდაცვის ეროვნული სისტემები და ეროვნული პროგრამები, რათა ხელი შეეწყოს დასაქმებული მოსახლეობის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მუდმივ გაუმჯობესებას.



*სოფიკო ლილუაშვილი¹, თამარ ებანოიძე¹, თინათინ ლიბრაძე¹, ნანა ჩხიკვიშვილი¹,
მანანა სულაბერიძე¹, ლელა ბერიძე²*

**დერმატოსკოპია - როგორც სისტემური დაავადებების დიაგნოსტიკის საშუალება
(ლიტერატურის მიმოხილვა)**

¹კანისა და ვენსნეულებათა ეროვნული სამეცნიერო ცენტრი

²ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.02.05>

SOPIKO LILUASHVILI¹, TAMAR EBANOIDZE¹, TINATIN GIBRADZE¹,

NANA CHKHIKVISHVILI¹, MANANA SULABERIDZE¹, LELA BERIDZE²

**DERMOSCOPY – DIAGNOSTIC METHOD OF SYSTEMIC DISEASES
(LITERATURE REVIEW)**

¹National Center of Dermatology and Venereology; ²Batumi Shota Rustaveli University

SUMMARY

Dermoscopy, as a non-invasive method of examining the skin and its appendages, is very informative and popular among dermatologists and patients. Dermoscopy is widely used in daily dermatological practice as an additional, very reliable method for detecting skin diseases. In addition to diagnosing tumors, it is also widely used to diagnose inflammatory and autoimmune diseases of the skin, including connective tissue diseases. Analysis of various dermoscopic signs and characteristics helps us in making the differential diagnosis of diseases and in the development of a further research plan. The literature review presented by us includes the main dermoscopic signs of connective tissue diseases and aims to systematize these signs and characteristics and facilitate their identification in dermatological practice. Our review is an example of demonstrating the importance of dermoscopy in case of connective tissue diseases, how much it makes easier to detect the typical signs of illnesses and then to find and to start the treatment with precise medications. According to patients we can say that dermoscopy turns out to be a comfortable and time-saving method of diagnosing. It makes follow-ups easier, because we economize time and without any complexity, we are able to compare previous and actual condition that is significant in treatment of connective tissue disorders.

Keywords: Dermoscopy, Lupus Erythematosus, Dermatomyositis, Scleroderma

შესავალი. დერმატოსკოპია არის კვლევის არაინვაზიური მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ დერმატოლოგიურ პრაქტიკაში. მისი გამოყენებით გაიზარდა კანის სხვადასხვა დაავადებების, მათ შორის, კანის პიგმენტური და არაპიგმენტური წარმონაქმნების, ანთებითი დაავადებების, ფრჩხილისა და თმის პათოლოგიების დიაგნოსტიკის სიზუსტე და მათი შემდგომი მენეჯმენტის დაგეგმვის შესაძლებლობა.

დერმატოსკოპიის გამოყენებას დერმატოლოგიურ პრაქტიკაში დიდი ხნის ისტორია აქვს. კანის ზედაპირის მიკროსკოპია თავდაპირველად განხორციელდა 1663 წელს გერმანელი ექიმის, კოლჰაუსის მიერ, რომელმაც მიკროსკოპია გამოიყენა ფრჩხილის სანოლის (მატრიცის) სისხლძარღვების შეფასების მიზნით. მეთოდი დაიხვეწა 1878 წლიდან, მას შემდეგ რაც პირველად გამოიყენეს იმერსიული სითხე კვლევის პროცესში. მოგვიანებით გაჩნდა სამეცნიერო სტატიები დაავადებების დერმატოსკოპიულ და პათომორფოლოგიურ სურათს შორის კორელაციის არსებობის შესახებ. კვლევის ეს მეთოდი განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც 2003 წელს ავსტრიაში დაარსდა პირველი საერთაშორისო დერმატოსკოპიული საზოგადოება. დროთა განმავლობაში იხვეწებოდა დერმატოსკოპიული ხელსაწყოების ტექნიკური მახასიათებლები და შესაძლებლობები.

დღეისათვის პრაქტიკაში არსებობს დერმატოსკოპიული ხელსაწყოების ორი ტიპი: პოლარიზებული, რომელიც კანში ღრმად მდებარე სტრუქტურების ვიზუალიზაციისთვის გამოიყენება და არაპოლარიზებული, რომლითაც ხდება კანის ზედაპირული შრეების ვიზუალიზაცია.

თავდაპირველად დერმატოსკოპიული კვლევა ძირითადად გამოიყენებოდა კანის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი წარმონაქმნების დიაგნოსტიკისათვის, თუმცა, ბოლო დროს გაიზარდა მისი გამოყენების არეალი კანის ნებისმიერი ტიპის გამონაყარის შემთხვევაში.

დერმატოსკოპიის დადებით მხარეებს წარმოადგენს მისი არაინვაზიურობა, გამოყენების სიმარტივე, დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვა და პაციენტის შესახებ სრულყოფილი დოკუმენტაციის შექმნა, რაც განსაკუთრებით მოსახერხებელია სტაციონარული ციფრული დერმატოსკოპის გამოყენებისას.

შემავრთებელქსოვილოვანი დაავადებების კლინიკური და დერმატოსკოპიული სურათი.

გარდა დერმატო-ონკოლოგიაში დერმატოსკოპიის გამოყენებისა, კვლევის ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება ზოგად დერმატოლოგიაში [1]. დროთა განმავლობაში გაჩნდა ისეთი სპეციფიკური ტერმინები, როგორცაა: ტრიქოსკოპია (თავის თმის მიდამოს დერმატოსკოპია), ონიქოსკოპია (ფრჩხილების დერმატოსკოპია), ენტომოდერმოსკოპია (კანის ინფექციური და პარაზიტული დაავადებების დერმატოსკოპია), ინფლამოსკოპია (კანის ანთებითი დაავადებების დერმატოსკოპია). განსაკუთრებით ინფორმატიული აღმოჩნდა კანის ქრონიკული ანთებითი დაავადებების დერმატოსკოპიული მახასიათებლები, მათ შორის კანის შემავრთებელქსოვილოვანი დაავადებებისათვის დამახასიათებელი დერმატოსკოპიული სურათი [2,3]. კანის ანთებითი დაავადებების შემთხვევაში დერმატოსკოპიული კვლევა გვეხმარება, თავიდან ავირიდოთ ნახევრად ინვაზიური ან ინვაზიური კვლევის მეთოდების გამოყენება დიაგნოზის დადგენის მიზნით [4]. დერმატოსკოპიული კვლევა ინფორმატიულია არა მარტო დიფერენციალური დიაგნოსტიკისათვის, არამედ დაავადებების პროგნოზული შეფასებისა და მკურნალობის მონიტორინგისთვის [5].

დერმატოსკოპიული კვლევა წარმატებით გამოიყენება ისეთი შემავრთებელქსოვილოვანი დაავადებების დიაგნოსტიკის დროს, როგორცაა: **დისკოიდური წითელი მგლურა, დერმატომიოზიტი და შემოფარგლული სკლეროდერმია.**

კანის აუტოიმუნური ანთებითი დაავადებები ხასიათდებიან გენერალიზებული ანთებით, რომელიც გამოწვეულია იმუნური სისტემის დისრეგულაციით (რეგულაციის დარღვევით), რაც განსაკუთრებით ეხება შეძენილ იმუნიტეტს. მთავარი როლი ეკუთვნის გენეტიკურ განწყობას და სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს.

დისკოიდური წითელი მგლურა არის კანის წითელი მგლურას ქრონიკული ფორმა, რომელიც განიხილება, როგორც აუტოიმუნური დაავადება. მაპროვოცირებელ ფაქტორებს წარმოადგენს გენეტიკური წინასწარგანწყობა, ტოქსინები და მზის სხივების ექსპოზიცია [6]. დაავადებას ახასიათებს მომრგვალო-ოვალური ფორმის აქერცლილი კერები, გამონაყარი ძირითადად ლოკალიზებულია მზის ექსპოზიციის ადგილებში (სახე, თავის თმის მიდამო, ყურები, კიდურები), ხშირად იწვევს ნაწიურად თმის ცვენის განვითარებას. დაავადების დროს შესაძლოა დაზიანდეს თვალის, პირის ღრუს და საშოს ლორწოვანი გარსები. დაავადების მწვავე პერიოდისათვის დამახასიათებელია ანთების ნიშნების არსებობა (სინითლე, აქერცვლა),

მოგვიანებით ვითარდება კანის ნაწიბუროვანი ან ატროფიული ცვლილებები და კანის ფერის შეცვლა [7,8,9].

როცა დისკოიდური წითელი მგლურა ლოკალიზებულია თავის თმიან არეზე, გამოხატულია კანის ზედაპირიდან ნამონეული ჰიპერემიული გამონაყარი, მოგვიანებით აღინიშნება თმის ცვენა და კანის ნაწიბუროვანი ცვლილებები, დეპიგმენტაცია და დაზიანებული კერა ჩანეულია კანის ზედაპირიდან. ტუჩებზე ლოკალიზაციის შემთხვევაში გამოხატულია ჰიპერკერატოზი და ტუჩის ლორწოვანის წითელი ან ნაცრისფერი შეფერილობა. იშვიათად გამოხატულია თვალის დაზიანება ბლეფარიტის სურათით [10].

დისკოიდური წითელი მგლურას დიაგნოსტიკა საკმაოდ რთულია და დიფერენციალურ დიაგნოსტიკას მოითხოვს ისეთ დაავადებებთან, როგორცაა: აქტინური კერატოზი, სეზორეული დერმატიტი, ფსორიაზი, წითელი ბრტყელი ლიქენი, სარკოიდოზი და სხვა. სადიაგნოსტიკო მეთოდებიდან ბოლო დროს კანისა და ლორწოვანი გარსების ბიოფსიის გარდა ფართოდ გამოიყენება დერმატოსკოპია, როგორც კვლევის არაინვაზიური და ინფორმატიული მეთოდი.

დისკოიდური წითელი მგლურას დერმატოსკოპიული სურათი განსხვავებულია გამონაყარის სხვადასხვა ლოკალიზაციის შემთხვევაში, მაგრამ სხვადასხვა კვლევის მიხედვით, გამოვლინდა მისთვის დამახასიათებელი რამდენიმე საერთო ნიშანი. კერძოდ: პერიფოლიკულური მოთეთრო არშია, ფოლიკულური კერატინული საცობები და გაფართოებული სისხლძარღვოვანი ქსელი - ტელეანგიექტაზიები [11].

ზოგიერთი ავტორის მიერ, ვრცელი ლიტერატურული მიმოხილვის შედეგად გაკეთებული დასკვნების მიხედვით, დისკოიდურ წითელ მგლურას თავის თმიან არეში ახასიათებს შემდეგი ძირითადი დერმატოსკოპიული ნიშნები: არეები სტრუქტურის გარეშე, განტოტვილი (arborizing) სისხლძარღვები, თეთრი ფერის ქერცლი, ფოლიკულური კერატინული საცობები, ფოლიკულური შესასვლელების არარსებობა, პერიფოლიკულური აქერცვლა, მოვარდისფრო-თეთრი ფონი, ყავისფერი პიგმენტური ჩანართები და ფიბროზული არეები მოთეთრო ელფერით. კანის დაზიანების დროს ძირითადად გვხვდება ფოლიკულური კერატინული საცობები და პერიფოლიკულური თეთრი არშია, ყავისფერი პიგმენტაცია და თეთრი ფერის უსტრუქტურო არეები [12].

გარდა ზემოთ აღწერილი დერმატოსკოპიული სურათისა, გამოვლენილია ერთეული შემთხვევები, როცა შავკანიან პაციენტებში დერმატოსკოპიულად თავის თმიანი არის გამოკვლევისას ნანახი იქნა მოთეთრო-მოლურჯო ვეალი (veil), რაც ჰისტოლოგიურად შეესაბამებოდა პიგმენტის არარსებობას და მელანოფაგების განლაგებას დერმის ჰაპილარულ შრეში [13]. ასევე, რამდენიმე პაციენტში აღმოჩენილი იქნა ფოლიკულური წითელი წერტილები, რომელიც გამოვლინდა რეგულარულად განაწილებული პოლიციკლური სტრუქტურების სახით ფოლიკულის შესასვლელთან, რაც ჰისტოლოგიურად შეესაბამება კერატინულ საცობებს, რომლებიც შემოსაზღვრულია სისხლძარღვებით და ერთროციტების ექსტრავაზატებით [14].

დერმატოსკოპიული კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია თავის თმიანი არის ნაწიბუროვანი და არანაწიბუროვანი დაავადებების დიაგნოსტიკისათვის, როგორც სწრაფი და არაინვაზიური მეთოდი [15]. დერმატოსკოპიული კვლევის მნიშვნელობა თავის თმიანი მიდამოს დაზიანების შემთხვევაში მდგომარეობს იმაშიც, რომ აუტოიმუნური შემაერთებელქსოვილოვანი დაავადებები, გარდა ნაწიბუროვანი ცვლილებებისა, ინვევენ სკალპის სხვადასხვა სახის ცვლილებას, როგორცაა: დიფუზური და ტელოგენური თმის ცვენა, ბუდობრივი ალოპეცია, ტრიქომეგალია [16,17]. სისტემური წითელი მგლურას დროს დამახასიათებელია ტელოგენური თმის ცვენა, მაშინ, როცა დისკოიდურ ფორმას უფრო ხშირად ახასიათებს ნაწიბუროვანი ალოპეცია [18]. იმის გამო, რომ სისტემური წითელი მგლურას დროს ვითარდება არანაწიბუროვანი ალოპეცია, ის ხშირად შეცდომით კლასიფიცირდება, როგორც ბუდობრივი ალოპეცია. თუმცა, მათ შორის დერმატოსკოპიულად მკვეთრად გამოხატული განსხვავებაა. კერძოდ, თუ ბუდობრივი ალოპეციის დროს დერმატოსკოპიულად გვხვდება ძახილის ნიშნისმაგვარი თმის ღერები, შავი და ყვითელი წერტილები და გადატეხილი თმის ღერები, სისტემური წითელი მგლურას დროს დამახასიათებელია თმის ღერის გათხელება, გაფართოებული სისხლძარღვოვანი ქსელი და პერიფოლიკულური წითელი წერტილები [19].

დისკოიდური წითელი მგლურას ლოკალიზებისას სახეზე დიფერენციალური დიაგნოსტიკა უნდა გატარდეს ისეთ დაავადებებთან, როგორცაა: სებორეული დერმატიტი, აკნე როზაცეა, კანის ტუბერკულოზი, სარკოიდოზი. კლინიკური დათვალერებით მათი ერთმანეთისგან განსხვავება რთულია, თუმცა დისკოიდური წითელი მგლურას შემთხვევაში დომინირებს თმის ფოლიკულების ცვლილებები და გაფართოებული სისხლძარღვოვანი ქსელი, მაშინ როცა სხვა, ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების შემთხვევაში გვხვდება მოყვითალო ქერცლი, პოლიგონური და ნერტილოვანი სისლძარღვები და ნარინჯისფერი ფონი [20].

დერმატოსკოპიული კვლევა ღირებულია იმ იშვიათ შემთხვევებშიც, როცა დისკოიდური წითელი მგლურას დროს ხდება ტუჩების და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანება. დიფერენციალური დიაგნოსტიკა ტარდება აქტინურ ქელიტთან და ლიქენოიდურ გამონაყართან [21,22,23]. დისკოიდური წითელი მგლურას დროს ლორწოვან გარსებზე გამოვლინდება ფიბროზის კერები, მოთეთრო ფერის უსტრუქტურო არეების სახით, გაფართოებული სისხლძარღვოვანი ქსელი და დანყლულებული კერები. ტუჩების დაზიანების შემთხვევაში დამატებით გვხვდება მოყავისფრო პიგმენტური ლაქები, აქერცვლა, ეროზიული კერები და სისხლჩაქცევები [24].

დერმატომიოზიტი არის ანთებითი ხასიათის დაავადება, რომელიც აზიანებს კანს და კუნთებს. მისი ეტიოლოგია ბოლომდე გარკვეული არ არის, მიაკუთვნებენ აუტოიმუნური დაავადებების რიცხვს. მაპროვოცირებელ ფაქტორებს მიეკუთვნება: გენეტიკური წინასწარგანწყობა, ვირუსული ინფექციები, მზის გამოსხივება, მედიკამენტები და მონევა.

კუნთების სისუსტე გამოიხატება თანდათან, პაციენტებს უჭირთ სხვადასხვა მოძრაობის შესრულება.

კუნთების სისუსტეს ხშირად წინ უსწრებს გამონაყარი კანზე, რომელიც წარმოდგენილია იისფერი-წითელი შეფერილობის პაპულების სახით, რომლების ძირითადად ლოკალიზებული არიან სახეზე, თვალების ირგვლივ, ასევე გულმკერდისა და ზურგის ზედა ნახევარზე, იშვიათად ზედა და ქვედა კიდურებზე. დაავადებისათვის დამახასიათებელია „გოტრონის პაპულების“ არსებობა, რომელიც ძირითადად ლოკალიზებულია თითების წვრილი სახსრების არეში, ასევე, იშვიათად, იდაყვებისა და მუხლების არეში. გამონაყარი ხშირად არის მტკივნეული, სისხლმდენი და უარესდება მზის ექსპოზიციის დროს.

დაავადების გართულებებს წარმოადგენს წონაში კლება და ნუტრიენტების ნაკლებობა, რაც გამოწვეულია ყლაპვის გაძნელებით, ასპირაციული პნევმონია, სუნთქვის პრობლემები და კალციუმის დეფიციტები (გროვები) კუნთებსა და შემაერთებელ ქსოვილებში.

დერმატომიოზიტის დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება ხუთი ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც მოიცავს სისხლის გამოკვლევებს, კუნთების ბიოფსიას, ელექტროკარდიოგრამას და სხვა. თუმცა კანზე გამონაყარის არსებობის დროს სწრაფ და ინფორმატიულ სადიაგნოსტიკო მეთოდს წარმოადგენს დერმატოსკოპიაც.

დერმატომიოზიტზე ეჭვის არსებობის დროს გამოიყენება დერმატოსკოპიის რამდენიმე მეთოდი: ეპონიქიუმის დერმოსკოპია (კაპილაროსკოპია), სკალპის დერმატოსკოპია (ტრიქოსკოპია), ვიდეოდერმოსკოპია [25].

ეპონიქიუმის კაპილაროსკოპია კვლევის შედარებით ახალი მეთოდია, რომელიც კარგად ასახავს მიკროცირკულაციის დარღვევებს არა მარტო დერმატომიოზიტის, არამედ რეინოს ფენომენის, სისტემური სკლეროზის და შერეული შემაერთებელქსოვილოვანი დაავადებების დროს [26,27,28,29].

დერმატომიოზიტის დროს კაპილაროსკოპიით გამოვლინდება შემდეგი დერმატოსკოპიული მახასიათებლები: წაგრძელებული კაპილარები, ავასკულარული (სისხლძარღვების გარეშე) არეები, კაპილარების დემორგანიზაცია, დაკლაკნილი სისხლძარღვები, გაფართოებული კაპილარები და ჰემორაგიები. ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ დერმატომიოზიტის მქონე პაციენტებში დაავადების პროგრესირების შემთხვევაში მცირდება ეპონიქიუმის კაპილარების სიმჭიდროვე და მათი რაოდენობა, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს დაავადების პროგნოზს [30]. ასევე გამოვლინდა კორელაცია კაპილარების სიმჭიდროვის შემცირებასა და პროცესში ფილტვის ჩართულობას შორის, მსგავსი კორელაცია არ გამოვლინდა კარდიალურ დაზიანებასთან [31,32].

რაც შეეხება კანის გამოვლინებას, გოტრონის პაპულების არეში აღინიშნება პოლიმორფული სისხლძარღვების არასპეციფიკური განაწილება და მოთეთრო-მოვარდისფრო უსტრუქტურო არეები [33,34].

დერმატოსკოპიული კვლევა ინფორმატიულია არა მარტო ცალკეული გამონაყარის, არამედ ერთროდერმიის დიაგნოსტიკისათვის, რადგანაც მისი გამოწვევა სხვა დაავადებებთან ერთად შეუძლია დერმატომიოზიტსაც [35,36].

დერმატომიოზიტის დროს თავის თმიანი არის დაზიანების დროს კლინიკურად გამოვლინდება კანის ანთებითი დაავადებებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. ამ შემთხვევაში დიფერენციალური დიაგნოსტიკა უნდა გატარდეს ისეთ დაავადებებთან, როგორცაა: ფსორიაზი, სეზორეული დერმატიტი, წითელი ბრტყელი ლიქენი, დისკოიდური წითელი მგლურა, კონტაქტური დერმატიტი. დერმატომიოზიტისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური სისხლძარღვოვანი ქსელი და უსტრუქტურო არეები [37].

დერმატოსკოპიული კვლევით შესაძლოა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ დერმატომიოზიტის, სისტემური წითელი მგლურასა და სისტემური სკლეროზით გამოწვეული გამონაყარი, რომელიც ლოკალიზებულია თავის თმიან არეში. გამოვლინდა, რომ დერმატომიოზიტის დროს სპეციფიკურ ცვლილებას წარმოადგენს მიკროანევრიზმული სისხლძარღვები, მაშინ, როცა სისტემური სკლეროზისა და სისტემური წითელი მგლურას დროს გვხვდება პოლიმორფული სისხლძარღვები. თუმცა სამივე შემთხვევაში გამოხატული იყო საერთო ნიშნებიც: პერიფოლიკულური მოყავისფრო-მონათალო პიგმენტაცია, თმის ღერის დიამეტრის შემცირება, მოთეთრო ფერის არეები [38].

დერმატომიოზიტის ტრიქოსკოპიული გამოვლინებებია: დატოტვილი და ხაზოვანი სისხლძარღვები, პერიფოლიკულური პიგმენტაცია, ერთემა და აქერცვლა, თეთრი ან მოყვითალო ელფერის ქერცლები, რომლებიც ლოკალიზებულნი არიან ფოლიკულებს შორის სივრცეებში, მოთეთრო-მოვარდისფრო ფერის არეები. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ ტრიქოსკოპიული ცვლილებები დერმატომიოზიტის დროს ემთხვევა კაპილაროსკოპიით გამოვლენილ დერმატოსკოპიულ ნიშნებს, განსაკუთრებით სისხლძარღვების მორფოლოგიურ ცვლილებებს [39].

ტერმინი „სკლეროდერმია“ არის დაავადებათა ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს კანის, კუნთების, სისხლძარღვების და შინაგანი ორგანოების დაზიანება. მისი ეტიოლოგია გარკვეული არ არის, რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება: გენეტიკური წინასწარგანწყობა, ვირუსული ინფექციები, მედიკამენტები, კონტაქტი ქიმიურ ნივთიერებებთან და იმუნური სისტემის პრობლემები. ხშირია მისი თანაარსებობა სხვა სისტემურ დაავადებებთან. არსებობს სკლეროდერმიის ორი ძირითადი ფორმა: სისტემური და ლოკალიზებული (მორფეა).

სისტემური სკლეროდერმიის დროს ზიანდება კიდურები, ფილტვები, თირკმელები, გული, კბილები, საჭმლის მომწელებელი სისტემა და სახსრები. ზოგადი სიმპტომებიდან გვხვდება კანის ატროფია, სიცვიის შეგრძნება კიდურების წარზიდულ ნაწილებზე და ზოგადი სისუსტე.

შემოფარგლული სკლეროდერმია (მორფეა) არის მხოლოდ კანის დაზიანებით გამოწვეული დაავადება, რომელსაც არ ახასიათებს სისტემური სკლეროდერმიისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

მორფეა კლინიკურად ხასიათდება კანის დაზიანებით, რომლის გამოვლინება დამოკიდებულია დაავადების სტადიასა და ფაზაზე, მწვავე ფაზაში მას ახასიათებს მონათალო-იისფერი ლაქები, რომლებიც ხშირად ლოკალიზებულია მუცელზე, გულმკერდსა და ზურგზე. მოგვიანებით ლაქების ცენტრალურ ნაწილში ვითარდება მოთეთრო დეპიგმენტაცია და კანის სკლეროზი. მორფეას ხაზოვანი (ლინეარული) ფორმის დროს ლაქები ლოკალიზებულია კიდურებზე, თავის თმიან არეში და შუბლზე. დროთა განმავლობაში კანი ხდება ატროფიული, გასქელებული და პრიალა.

სისტემური სკლეროდერმიის დროს ინფორმატიულია კაპილაროსკოპია, ისევე, როგორც სხვა სისტემური დაავადებების შემთხვევაში [40,41]. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში კაპილაროსკოპია თანაბრად ინფორმატიულია პოლარიზებული და არაპოლარიზებული დერმატოსკოპის გამოყენებისას, გამოსახულების სხვადასხვა ხარისხის გადიდებით [42,43].

დერმატოსკოპია საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სკლეროდერმა და ფსევდოსკლეროდერმა, რომლებიც კლინიკურად ერთმანეთის მსგავსია. ამ შემთხვევაში სხვა დიაგნოსტიკურ ტესტებთან ერთად გამოიყენება დერმატოსკოპია, როგორც კანის სკლეროზის მაიდენტიფიცირებელი საშუალება [44]. კაპილაროსკოპიით შესაძლებელია სისტემური პროცესის მიმდინარეობის ფაზის განსაზღვრა, კერძოდ, ადრეულ ცვლილებებს ახასიათებს კაპილარების დილატაცია და ჰემორაგიები, დაავადების აქტიურ ფაზას ახასიათებს უფრო მეტად გამოხატული კაპილარული ქსელი, ხოლო მოგვიანებით ცვლილებებს მიეკუთვნება კაპილარების ზომისა და რაოდენობის შემცირება და ავასკულარული არეები [45,46]. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ გაფართოებული სისხლძარღვები და სისხლდენა ფრჩხილების ირგვლივ მიდამოდან წარმოადგენენ სისტემური სკლეროზის ერთ-ერთ ძირითად მარკერს [47,48]. აღნიშნულ პრეკურსორებზე სამეცნიერო სტატიები იწერებოდა დიდი ხნის წინაც [49,50].

მორფეას დიაგნოსტიკისათვის არაინვაზიური მეთოდებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება დერმატოსკოპია. პოლარიზებული ნათებით გამოხატულია „ფიბროზული სხივები“, ხაზოვანი სისხლძარღვები, რომლებიც პერპენდიკულარულად კვეთენ ფიბროზულ არეებს და თმის ღერების არარსებობა ჯანმრთელ კანთან შედარებით [51].

დერმატოსკოპიული კვლევით შესაძლოა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მორფეა და სკლეროზული ლიქენი, რომელსაც ასევე ახასიათებს კანის ატროფიული და ფიბროზული ცვლილებები. სკლეროზული ლიქენის დროს დერმატოსკოპიულად გამოხატულია მოთეთრო-მოყვითალო ლაქები და ამავე შეფერილობის ფოლიკულური კერატინული საცობები [52,53,54]. ხაზოვანი მორფეასათვის, რომელიც ლოკალიზებულია თავის თმიან არეში დამახასიათებელია ატროფიული, ხაზოვანი არეები, თმის ცვენა, თმის ფოლიკულების ატროფია, მოთეთრო ფერის არეები, შავი წერტილები, გადატეხილი თმის ღერები, მოკლე, მსხვილი, ხაზოვანი და განტოტვილი სისხლძარღვები კერის პერიფერიაზე [55,56].

საბოლოოდ, მრავალრიცხოვან ლიტერატურულ წყაროზე დაყრდნობით, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დერმატოსკოპიული კვლევა ძალზედ ინფორმატიული და ღირებულია ისეთი სერიოზული მდგომარეობების დროს, როგორიცაა შემაერთებელქსოვილოვანი დაავადებები, რათა სწორად დავგვემოთ მათი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ასპექტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Sgouros A., Apalla Z., Ioannides D et al. Dermoscopy of common inflammatory disorders. *Dermatol clin.*2018; 36(4):359-368. doi: 10.1016/j.det.2018.05.003.
2. Errichetti E., Stinco G. The practical usefulness of dermoscopy in general dermatology. *G Ital dermatol Venereol.* 2015;150(5):533-546.
3. Miteva M., Tosti A. hair and scalp dermatoscopy. *J Am Acad Dermatol.* 2012; 67(5):1040-1048. doi: 10.1016/j.jaad.2012.02.013.
4. Lacarrubba F., Verzi A E., Dinotta F. et.al. Dermoscopy in inflammatory and infectious skin disorders. *G Ital dermatol venereol.* 2015; 150(5):521-531.
5. Micali G., lacarrubba F., Massimino D., Schwartz R. Dermoscopy: alternative uses in daily clinical practice. *J Am Acad dermatol.* 2011; 64(6):1135-1146. doi: 10.1016/j.jaad.2010.03.010.
6. Chong BF., Song J., Olsen NJ. Determining risk factors for developing systems lupus erythematosus in patients with discoid lupus erythematosus. *Br J dermatol.*2012; 166(1):29-35. doi: 10.1111/j.1365-2133.2011.10610.x.
7. Wolff K., Johnson R.A., Suurmond D. Fitzpatrick's Color Atlas and Synopsis of Clinical dermatology. (5th ed). McGraw-Hill Medical Publishing Division (2007), Chapter 14.
8. Bologna J.L., Jorizzo J.L., Schaffer J.V. *Dedrmatology.* (3th ed). Elsevier Limited (2012). Vol 1, Sec 7.
9. Burge S., Wallis D. *Oxford handbook of medical dermatology.* Oxford University press (2011), Ch. 19.
10. Arrico L., Abbounda A., Abricca I. et al. Ocular complications in cutaneous lupus erythematosus: A systematic review with a meta-analysis of reported cases. *J Ophthalmol.* 2015; 2015: 254260. doi: 10.1155/2015/254260.
11. Lallas A., Apalla Z., Lefaki I. et al. Dermoscopy of discoid lupus erythematosus. *Br j Dermatol.* 2013; 168(2):284-288. doi: 10.1111/bjd.12044.

12. Zichowska M., Zichowska M. Dermoscopy of discoid lupus erythematosus- a systematic review of the literature. *Int J Dermatol.* 2021; 60(7):818-828. doi: 10.1111/ijd.15365.
13. Cervantes J., Hafeez H., Miteva M. Blue-white veil as novel dermatoscopic in discoid lupus erythematosus in 2 african-American patients. *Skin appendage Disord.* 2017; 3(4):211-214. doi: 10.1159/000477354.
14. Tosti A., Torres F., Misciali S. et al. Follicular red dots: a novel dermatoscopic pattern observed in scalp discoid lupus erythematosus. *Arch dermatol.* 2009; 145(12):1406-1409. doi: 10.1001/archdermatol.2009.277.
15. Rakowska A., Slowinska M., Kowalska-Oledzka E. et al. Trichoscopy of cicatricial alopecia. *J Drugs Dermatol.* 2012; 11(6):753-758.
16. Cassano N., Amerio P., D'Ovidio R. et al. Hair disorders associated with autoimmune connective tissue diseases. *G Ital Dermatol Venereol.* 2014; 149(5):555-565.
17. parodi A., Cozzani E. Hair loss in autoimmune systemic diseases. *G Ital Dermatol Venereol.* 2014; 149(1):79-81.
18. Udompanich S., Chanprapaph K., Suchonwanit P. Hair and scalp changes in cutaneous and systemic lupus erythematosus. *Am J Clin Dermatol.* 2018; 19(5):679-694. doi: 10.1007/s40257-018-0363-8.
19. Ye Y., Zhao Y., Gong Y. et al. Non-scarring patchy alopecia in patients with systemic lupus erythematosus differs from that of alopecia areata. *Lupus.* 2013; 22(14):1439-1445. doi: 10.1177/0961203313508833.
20. Lallas A., Argenziano G., Apalla Z. et al. Dermoscopic patterns of common facial inflammatory skin diseases. *J Eur Acad Dermatol Venereol.* 2014; 28(5):609-614. doi: 10.1111/jdv.12146.
21. Jianqiu J. Actinic cheilitis or discoid lupus erythematosus? *Arch Dermatol Res.* 2021; 313(10):889-890. doi: 10.1007/s00403-021-02192-4
22. Andreadis D., Pavlou A. et al. Actinic cheilitis may resemble oral lichenoid-type lesions or discoid lupus erythematosus. *Arch Dermatol Res.* 2021; 313(10):891-892. doi: 10.1007/s00403-021-02194-2.
23. Joao AL., Brasileiro A, Neves JM et al. Discoid lupus erythematosus of the lip: a case of refractory cheilitis. *Lupus.* 2020; 29(7):804-805. doi: 10.1177/0961203320922302.
24. Salah E. Clinical and dermoscopic spectrum of discoid lupus erythematosus: novel observations from lips and oral mucosa. *Int J Dermatol.* 2018; 57(7):830-836. doi: 10.1111/ijd.14015.
25. Zychowska M., Reich A. Dermoscopy and trichoscopy in dermatomyositis-A cross-sectional study. *J Clin Med.* 2022; 11(2):375. doi: 10.3390/jcm11020375.
26. Smith V., Herrick AL., Ingegnoli F. Standardisation of nailfold capillaroscopy for the assessment of patients with raynaud's phenomenon and systemic sclerosis. *Autoimmun Rev.* 2020; 19(3):102458. doi: 10.1016/j.autrev.2020.102458.
27. Cutolo M., Smith V. State of the art on nailfold capillaroscopy: a reliable diagnostic tool and putative biomarker in rheumatology? *Rheumatology (Oxford).* 2013; 52(11):1933-1940. doi: 10.1093/rheumatology/ket153
28. Celinska-Lowenhoff M., pastuszczak M., Pelka K. et al. Association between nailfold capillaroscopy findings and interstitial lung disease in patients with mixed connective tissue disease. *Arch Med Sci.* 2019; 16(2):297-301. doi: 10.5114/aoms.2018.81129.
29. Radic M., Overbury RS. Capillaroscopy as a diagnostic tool in the diagnosis of mixed connective tissue disease (MCTD): a case report. *BMC Rheumatol.* 2021; no 5(1):9. doi:10.1186/s41927-021-00179-2.
30. Barth Z., Witczak BN., Flato B. et al. Assessement of microvascular abnormalities by nailfold capillaroscopy in juvenile dermatomyositis after medium-to long-term follow up. *Arthritis Care Res.* 2018; 70(5):768-776. doi: 10.1002/acr.23338.
31. Barth Z., Schwartz T., Flato B. et al. Association between nailfold capillary density and pulmonary and cardiac involvement in medium to longstanding juvenile dermatomyositis. *Arthritis care Res.* 2019; 71(4):492-497. doi: 10.1002/acr.23687.
32. Berntsen K., Tollisen A., Schwartz T. et al. Submaximal exercise capacity in juvenile dermatomyositis after longterm disease: the contribution of muscle, lung and heart involvement. *J Rheumatol.* 2017; 44(6):827-834. doi: 10.3899/jrheum.160997.

33. Namiki T., Hashimoto T., Hanafusa T. et al. Case of dermatomyositis with Gottron papules and mechanic's hand: dermoscopic features. *J Dermatol.* 2018; 45(1):19-20. doi: 10.1111/1346-8138.14072.
34. Vinay K., Dogra S. Palmar Gottron papules and gottron sign. *J Clin Rheumatol.* 2015; 21(3):164. doi: 10.1097/RHU.0000000000000239.
35. Slawinska M., Sokolowska-Wojdylo M., Sobjanek M. The significance of dermoscopy and trichoscopy in differentiation of erythroderma due to various dermatological disorders. *J Eur Acad Dermatol Venereol.* 2021; 35(1):230-240. doi: 10.1111/jdv.16998.
36. Golinska J., Sar-Pomian M., Slawinska M. et al. Trichoscopy may enhance the differential diagnosis of erythroderma. *Clin Exp Dermatol.* 2022; 47(2):394-398. doi: 10.1111/ced.14887.
37. Golinska J., Sar-pomian M., Rudnicka L. Diagnostic Accuracy of Trichoscopy in Inflammatory Scalp Diseases: A Systematic Review. *Dermatology.* 2021:1-10. doi: 10.1159/000517516.
38. Chanprapaph K., Limtong P., Ngamjanyaporn P. et al. Trichoscopic Signs in Dermatomyositis, Systemic Lupus Erythematosus, and Systemic Sclerosis: A Comparative Study of 150 Patients. *Dermatology.* 2021:1-11. doi: 10.1159/000520297.
39. Jasso-Olivares JC., Tosti A., Miteva M. et al. Clinical and dermoscopic features of the scalp in 31 patients with dermatomyositis. *Skin Appendage Disord.* 2017;3(3):119-124 doi: 10.1159/000464469.
40. Nasegawa M. Dermoscopy findings of nail fold capillaries in connective tissue diseases. *J Dermatol.* 2011; 38(1):66-70 doi: 10.1111/j.1346-8138.2010.01092.x.
41. Vos M., Nguyen K., van epr M et al. The value of (video)dermoscopy in the diagnosis and monitoring of common inflammatory skin diseases: a systematic review. 2018; 28(5):575-596. doi: 10.1684/ejd.2018.3396.
42. Mazzotti NG., Bredemeier M., Brenol CV. et al. Assessment of nailfold capillaroscopy in systemic sclerosis by different optical magnification methods. *Clin Exp Dermatol.* 2014; 39(2):135-141. doi: 10.1111/ced.12254.
43. Beltran E., Toll A., Pros A. et al. Assessment of nailfold capillaroscopy by x 30 digital epiluminescence (dermoscopy) in patients with Raynaud phenomenon. *Br J Dermatol.* 2007; 156(5):892-898. doi: 10.1111/j.1365-2133.2007.07819.x.
44. Fabri M., Hunzelmann N. Differential diagnosis of scleroderma and pseudoscleroderma. *J Dtsch dermatol Ges.* 2007; 5(11):977-984. doi: 10.1111/j.1610-0387.2007.06311.x.
45. Alessandrini A., Starace M., Piraccini B.M. Dermoscopy in the evaluation of nail disorders. *Skin appendage disord.* 2017; 3:70-83.
46. Chojer P., Mahajan B.B. Nail fold dermoscopy in collagen vascular disorders: A cross-sectional study. *Indian J Dermatol Venereal Leprol.* 2019; 85(4):439. doi: 10.4103/ijdv1.IJDVL_495_18.
47. Ohtsuka T. Dermoscopic detection of nail fold capillary abnormality in patients with systemic sclerosis. *J Dermatol.* 2012; 39(4):331-335.
48. Tunc E., Ertam I., Pilirdal T. et al. Nail changes in connective tissue diseases: do nail changes provide clues for the diagnosis? *J Eur Acad Dermatol Venereol.* 2007; 21(4):497-503.
49. Tosrti A. The nail apparatus in collagen disorders. *Semin Dermatol.* 1991; 10(1):71-76.
50. Spinosa FA., Murphy ES., Murphy B., Berkowitz B. Nail changes associated with scleroderma: a case report. *Clin Podiatr Med Surg.* 1989; 6(2):319-325.
51. Bhat JY., Akhtar S., Hassan I. Dermoscopy of Morphea. *Indian Dermat Online J.* 2019; 10(1):92-93.
52. Errichetti E., Lallas A., Apalla Z. et al. Dermoscopy of Morphea and Cutaneous Lichen Sclerosus: Clinicopathological Correlation Study and Comparative Analysis. *Dermatology.* 2017; 233(6):462-70.
53. Tiodorovic-Zivkoviz D., Argenziano G., popovic D., Zalaudek I. Clinical and dermoscopic findings of a patient with co-existing lichen planus, lichen sclerosus and morphea. *Eur J Dermatol.* 2012; 22(1):143-144. doi: 10.1684/ejd.2011.1585
54. Shim WH., Jwa SW., Song M. et al. Diagnostic usefulness of dermatoscopy in differentiating lichen sclerosus et atrophicus from morphea. *J Am Acad Dermatol.* 2012, 66(4):690-691. doi: 10.1016/j.jaad.2011.06.042.
55. Secada-corrado D., Tosti A. Trichoscopic Features of Linear Morphea on the Scalp. *Skin Appendage Disord.* 2018; 4(1):31-33. doi: 10.1159/000478022.

56. Sonthalia S., Agrawal M., Sharma P., Goldust M. Linear Patch of Alopecia in a Child: Trichoscopy Reveals the Actual Diagnosis. *Skin Appendage Disord.* 2019; 5(6):409-412. doi: 10.1159/000500096.

სოფიკო ლილუაშვილი¹, თამარ ებანოიძე¹, თინათინ ლიბრაძე¹, ნანა ჩხიკვიშვილი¹,
მანანა სულაბერიძე¹, ლელა ბერიძე²

დერმატოსკოპია - როგორც სისტემური დაავადებების დიაგნოსტიკის საშუალება
(ლიტერატურის მიმოხილვა)

¹კანისა და ვენსნეულებათა ეროვნული სამეცნიერო ცენტრი

²ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი

რეზიუმე

დერმატოსკოპია, როგორც კანისა და მისი დანამატების კვლევის არაინვაზიური მეთოდი, ძალზედ ინფორმატიული და პოპულარულია. დერმატოსკოპია განიხილება, როგორც კანის დიაგნოსტიკის დამატებითი, სარწმუნო მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ დერმატოლოგიურ პრაქტიკაში. გარდა წარმონაქმნების დიაგნოსტიკისა, იგი გამოიყენება კანის ანთებითი და აუტომუნური დაავადებების დიაგნოსტიკისათვის, მათ შორის შემაერთებელქსოვილოვანი დაავადებების შემთხვევაში. სხვადასხვა დერმატოსკოპიული ნიშნებისა და მახასიათებლების ანალიზი გვეხმარება დაავადებათა დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში და კვლევის შემდგომი გეგმის შემუშავებაში. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ლიტერატურული მიმოხილვა მოიცავს შემაერთებელქსოვილოვანი დაავადებების ძირითად დერმატოსკოპიულ ნიშნებს და მიზნად ისახავს ამ ნიშნებისა და მახასიათებლების სისტემატიზაციას და მათი იდენტიფიკაციის გაადვილებას ყოველდღიურ დერმატოლოგიურ პრაქტიკაში.



ნინო ოზბეთელაშვილი, ლია გუმბარიძე

მშობიარობის შემდგომი დეპრესიის შესახებ ინფორმირებულობა და ქცევითი
ცვლილებები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტის,
პოლიტიკის და ეკონომიკის დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.02.06>

NINO OZBETELASHVILI, LIA GUMBARIDZE

AWARENESS AND BEHAVIORAL CHANGES ABOUT POSTPARTUM DEPRESSION

Tbilisi State Medical University, Department of Public Health Management, Policy and Economics

SUMMARY

The article discusses an important issue in the field of health care – postpartum depression, which is characterized by a large spread. The article presents basic information about the causes, prevalence and risk factors of the condition. Emphasis is placed on determining the level and views of the public knowledge about the difference between postpartum depression and postpartum stress. Both conditions are characterized by an almost identical course. Proper public awareness and actualization of the issue are important, as postpartum depression is a very noteworthy and important issue in terms of women's health, and the effectiveness of its management depends on the early detection of the condition and preventive measures.

Keywords: awareness, behavioral changes, postpartum depression

შესავალი. მშობიარობის შემდგომი დეპრესია წარმოადგენს საკმაოდ გავრცელებულ სამედიცინო და ფსიქო-სოციალურ პრობლემას, რომელიც ქალების დაახლოებით 10-15%-ში ვლინდება [1].

ორსულობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ქალის ორგანიზმში მიმდინარეობს დრამატული ცვლილებები, მათ შორის ჰორმონალური მიმართულებით, რომელიც გავლენას ახდენს ქალების გუნება-განწყობაზე. მშობიარობის შემდგომი დეპრესიის განვითარებაში მონაწილეობენ როგორც ბიოლოგიური, ასევე, ფსიქო-სოციალური ფაქტორები, როგორცაა: სოციალური მხარდაჭერის დაბალი დონე, ოჯახში ძალადობა და სხვა რისკ-ფაქტორები [1,2].

მშობიარობის შემდგომი დეპრესია არღვევს ქალის საზოგადოებრივ და ოჯახურ კავშირებს, დედისა და ჩვილის ურთიერთობას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვის სოციალური, კოგნიტური და ქცევითი უნარების განვითარებისთვის [3].

მშობიარობის შემდგომი დეპრესია რამდენიმე დღეს, თვეს, ზოგჯერ მთელ წელიწადს გრძელდება. მას ხშირად ურევნენ სტრესში (baby blues), რომელსაც მშობიარობის შემდგომ თითქმის ყველა ქალი განიცდის. ამ ორ მდგომარეობას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. მელოგინე ქალთა 50-70%-ს სტრესის დროს დეპრესიის მსგავსი სიმპტომები აღენიშნებათ - იოლად გაღიზიანება, ჭირვეულობა, გუნება-განწყობის ცვლილებები, უძილობა, იოლად დაღლა, ზოგადი სისუსტე, მაგრამ ეს სიმპტომები ორგანიზმის ჰორმონალური ფონის სტაბილიზაციასთან ერთად მცირდება და ქრება, ხოლო მშობიარობის შემდგომი დეპრესია კი ფსიქიკური დაავადებაა და ხშირად მოითხოვს მაღალკვალიფიციურ მკურნალობას [4].

ზოგიერთი ნეიროფსიქიატრი მიიჩნევს, რომ მშობიარობის შემდგომ ფსიქიკურ დარღვევას საფუძვლად უდევს გენეტიკური განწყობა. მათი აზრით, ის მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელსაც ფსიქოტროპული პრეპარატებით უნდა ვუმკურნალოთ. ამ თეორიის თანახმად, დეპრესიის დიდი რისკი ემუქრებათ ქალებს, რომელთა დედებსაც ეს პათოლოგია ჰქონდათ [5,6].

მშობიარობის შემდგომ განვითარებული დეპრესიის სამკურნალოდ იყენებენ ფარმაკოლოგიურ პრეპარატებს, კოგნიტურ - ქცევით თერაპიას და ავტორენინგს [7]. აღსანიშნავია, რომ მშობიარობის შემდგომი დეპრესიის პრევენცია შესაძლებელია, ამ მიზნით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხდება ორსულ ქალთა სკრინინგი და რისკების არსებობის შემთხვევაში გინეკოლოგის, მეანის, ფსიქიატრის და ფსიქოლოგის აქტიური თანამშრომლობა. რისკების ადრეული გამოვლენა და სამედიცინო პერსონალის გუნდური მიდგომა წარმოადგენს მშობიარობის შემდგომი დეპრესიის პრევენციის ძირითად მეთოდს [8,9].

კვლევის მიზანი: მშობიარობის შემდგომი დეპრესიისა და მშობიარობის შემდგომი სტრესის თაობაზე ქალაქ თბილისში მცხოვრები ორსული ქალების ინფორმირებულობის დონის დადგენა და ქვეყანაში ამ კუთხით არსებული ძირითადი სერვისების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

კვლევის ამოცანები: ორსული ქალების ინფორმირებულობის დონისა და დამოკიდებულების შეფასება მშობიარობის შემდგომი დეპრესიისა და მშობიარობის შემდგომი სტრესის თაობაზე (რაოდენობრივი კვლევა). ექსპერტული აზრის კვლევა - სიღრმისეული ინტერვიუ ფსიქოლოგებთან, რათა დავადგინოთ თუ რა მდგომარეობაა საკითხთან დაკავშირებით საქართველოში სერვისების მიწოდების კუთხით და რა სახის გამოწვევები იკვეთება ამ მიმართულებით (თვისებრივი კვლევა).

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა ჩაღრმავებული ინტერვიუების განხორციელება. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ფსიქოლოგები, რომლებიც საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე ფლობენ უფრო სრულყოფილ ინფორმაციას საკითხთან დაკავშირებით. ინტერვიუ შედგა ოთხ რესპონდენტთან, რომელიც გრძელდებოდა 30-45 წუთის განმავლობაში. ინტერვიუსათვის გამოყენებული იქნა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. ინტერვიუების გაშიფვრის შემდგომ მოხდა მთავარი დადებითი, უარყოფითი და რეკომენდაციული ტიპის ტენდეციებისა და აქცენტების გამოყოფა.

კვლევის მეორე ეტაპზე გამოყენებული იქნა მასობრივი გამოკითხვის მეთოდი. რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. გამოკითხვის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა ქალაქ თბილისში მცხოვრები ორსული ქალები.

ანკეტა გადაეგზავნა 150 ქალს, რომელთაგან პასუხი დააბრუნა 105-მა. შესაბამისად გამოკითხულთა ერთობლიობა განისაზღვრა N=105 ქალით.

გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონული აპლიკაცია „GOOGLE FORMS“-ის საშუალებით, კითხვარი რესპონდენტებს დაეგზავნა სოციალური ქსელის საშუალებით.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი, გამოყენებული იქნა დახურული ტიპის კითხვები.

შედეგები: თვისებრივი კვლევის შედეგად რესპონდენტთა მიერ განსაზღვრულ მთავარ დადებით ტენდენციას წარმოადგენდა ის, რომ საქართველოში მშობიარობის შემდგომი დეპრესიის მიმართ მოსახლეობის ცნობიერების დონის მატება აღინიშნება.

„დღეს უფრო მეტმა ადამიანმა იცის მშობიარობის შემდგომი დეპრესიის, როგორც მდგომარეობის შესახებ, ადრე ერთეულ შემთხვევაში იცოდნენ პაციენტებმა აღნიშნული დიაგნოზის შესახებ“

„ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც ოჯახის წევრები უნდობლობას გამოხატავდნენ ჩვენს, ანუ ფსიქოლოგების მიმართ და ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი დროსთან ერთად თავად, ყოველგვარი მკურნალობის, ფსიქოთერაპიის გარეშე ალავდებოდა“

„დღეს, როდესაც პაციენტი მოდის ჩვენთან, არამხოლოდ მათ, არამედ ოჯახის წევრებმაც იციან რა არის მშობიარობის შემდგომი დეპრესია, მოსვლისას უკვე აქვთ საბაზისო ინფორმაცია მოძიებული ინტერნეტ წყაროებიდან, ლიტერატურიდან და ა.შ“

რესპონდენტთა თქმით, დროთა განმავლობაში უფრო მეტად იზრდება ქალების მხრიდან მიმართვიანობა.

„უფრო მაღალია მომართვიანობა ვიდრე ადრე იყო, ქალები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საკუთარ თავს და ჯანმრთელობას“.

ადამიანის ორგანიზმში დაავადება ტუბერკულოზის გამომწვევია *M. tuberculosis* კომპლექსი, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ შემდეგ მიკროორგანიზმებს – *M. bovis*, *M. caprae*, *M. africanum*, *M. microti*, *M. pinnipedii*, *M. mungi*, *M. orygis* და *M. canetti*. ადამიანის ორგანიზმში ტუბერკულოზის ყველაზე ხშირი და მნიშვნელოვანი გამომწვევია *M. Tuberculosis* [2]. ტუბერკულოზი მთელი მსოფლიოსთვის, მ.შ. საქართველოსთვის გამომწვევად რჩება. მიუხედავად განუვლი ძალისხმევებისა, ტუბერკულოზის ტვირთი კვლავ საგულისხმოა. 2020-2021 წლებში ტუბერკულოზის პრევალენტობასა და ინსიდენტობაზე COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში დანერგილმა სიახლეებმა 2019 წლისთვის ტუბერკულოზის მართვა გააუმჯობესა და ბევრი ქვეყანა მისი ელიმინაციის მიმართულებით წაიყვანა, COVID-19 პანდემიამ პროგრესის ამ პროცესზე გავლენა იქონია და ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების დროულ დიაგნოსტიკას და მკურნალობის დროულად ინიცირებას დამატებითი ბარიერები შეუქმნა. კერძოდ, 2019 წლიდან 2020 წლამდე ტუბერკულოზის შემთხვევების რეგისტრაციამ 18%-ით იკლო (5.8 მილიონამდე დაეცა) და 2012 წლის ნიშნულს დაუბრუნდა, მაშინ როცა ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების ყოველწლიური სავარაუდო მაჩვენებელი 2020 და 2021 წლებშიც ბოლო დეკადის წლიური მაჩვენებლების მსგავსად 10 მილიონი იყო [2].

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2023 წლის ანგარიშზე დაყრდნობით, გლობალურად, ახლად დიაგნოსტირებული ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვმა 2022 წელს 7,5 მლნ შეადგინა, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მას შემდეგ, რაც 1995 წელს WHO-მ ტუბერკულოზის გლობალური მონიტორინგი დაიწყო. 2022 წელს ტუბერკულოზით გამოწვეულმა სიკვდილობამ შეადგინა 1.30 მლნ [1]. საქართველოში, 2022 წლის მონაცემებით, სულ დარეგისტრირდა 1654 ტუბერკულოზის შემთხვევა. ბაქტერიოლოგიურად დადასტურდა 117 MDR/RR-TB და 55 preXDR/XDR-TB შემთხვევა. წარმატებული გამოსავალი დაფიქსირდა ახალი და რელაფსის შემთხვევების 87%-თან, MDR/RR-TB შემთხვევების 76%-თან და XDR-TB შემთხვევების 68%-თან [2,10].

ტუბერკულოზი არის სისტემური დაავადება მრავალფეროვანი გამოვლინებებით. ჩვეულებრივ, აზიანებს ფილტვებს, რის შედეგადაც ვითარდება ფილტვის ტუბერკულოზი, თუმცა პათოლოგიური პროცესი შესაძლოა ლოკალიზებული იყოს ნებისმიერ სხვა ქსოვილსა თუ ორგანოში, რის შედეგადაც ვითარდება ფილტვგარეშე ტუბერკულოზი. ყველაზე ხშირად დაზიანებულ ორგანოთა სისტემებს მიეკუთვნება რესპირატორული სისტემა, გასტროინტენსტივური სისტემა, ლიმფური სისტემა, კანი, ცენტრალური ნერვული სისტემა, ძვალკუნთოვანი სისტემა, რეპროდუქციული სისტემა და ღვიძლი [3,4]. ტუბერკულოზი ადამიანისგან ადამიანზე უპირატესად ჰაერით ვრცელდება. ის მამაკაცებში უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში და განსაკუთრებით გავრცელებულია შრომისუნარიანი ასაკის პოპულაციაში [5].

დიდი ხნის მანძილზე ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებები ფოკუსირებული იყო საზოგადოებისათვის საშიში ფილტვის ტუბერკულოზის ბაქტერიაგამომყოფი პაციენტებისკენ (ნაცხით დადებითი შემთხვევების მართვისაკენ). ამჟამად ეს დამოკიდებულება შეცვლილია, ვინაიდან სტრატეგია „დავასრულოთ ტუბერკულოზი“ გულისხმობს ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმით დაავადებული პაციენტისთვის მაღალი ხარისხის, პაციენტზე ორიენტირებული მკურნალობისა და რეაბილიტაციის უნივერსალურ ხელმისაწვდომობას [5].

დავასრულოთ ტუბერკულოზი 2035 წლისათვის არის გაეროს (UN) ერთ-ერთი მდგრადი განვითარების მიზანი (SDGs), მაშინ როცა ჯანმო-ს ტუბერკულოზის დასრულების სტრატეგია მიზნად ისახავს სიკვდილობის 90%-ით და ტუბერკულოზის შემთხვევების 80%-ით შემცირებას 2030 წელს 2015 წელთან შედარებით [6]. გამოიკვეთა რამდენიმე გამოწვევა, რომლებიც განაგრძობს ამ მიზნებისკენ პროგრესის შენელებას, რაც განპირობებულია რამოდენიმე ფაქტორით, მათ შორის: ფინანსების ნაკლებობით, ლატენტური ინფექციის მიერ გამოწვეული სირთულეებით, რეზისტენტული ტუბერკულოზით – პრობლემით, რომელიც ღრმავდება და ჯანმო აიძულა შეეცვალა კლინიკური გაიდლაინები 2022 წელს ახალი რეჟიმებით, რომლებიც მოიცავს პრეტომანიდს, ბედაქლინს და დელამანიდს [7].

ტუბერკულოზით ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება ტუბერკულოზის მკურნალობის ხარჯებიც, შესაბამისად ჯანმრთელობის სხვადასხვა

ორგანიზაციებმა, როგორცაა: WHO, CDC, ECDC დანერგეს სპეციალური პროგრამები ტუბერკულოზთან საბრძოლველად. ინფექციის გადაცემის ჯაჭვის განწყვეტა ტუბერკულოზის აღმოფხვრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია [8].

ინდივიდის ინფიცირების რისკი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული – ჰაერში *M.tuberculosis* კონცენტრაციაზე, წვეთოვანი ბირთვების შემცველ ჰაერთან ექსპოზიციის ხანგრძლივობაზე, ბაცილების მასიურობაზე, TB პაციენტის ინფექციურობაზე, იმ გარემოს ვენტილაციაზე, რომელშიც ხდება ექსპოზიცია და ინფექციის მიმართ მიმღები ორგანიზმის მგრძობელობაზე. ინფექციურ TB პაციენტთან კონტაქტში მყოფი ყველა პირი *M.tuberculosis*-ით არ ინფიცირდება. სანცის ეტაპზე სასუნთქი სისტემის ტუბერკულოზი შესაძლოა მიმდინარეობდეს ასიმპტომურად და მხოლოდ მოგვიანებით გამოვლინდეს ზოგადკლინიკური ან რესპირატორული ხასიათის სიმპტომებით [5]. ვინაიდან ტუბერკულოზი დუნედ პროგრესირებადი დაავადებაა, სიმპტომები დასაწყისში, როგორც წესი, ძალიან განსხვავებულია, დროსთან ერთად ხდება უფრო გამოხატული და პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციაზეა დამოკიდებული [9].

ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა უნდა იყოს ზუსტი, სწრაფი და უნდა იძლეოდეს სათანადო მკურნალობის დანებების საშუალებას. ტუბერკულოზის კულტურალური კვლევა და ფენოტიპური DST (მედიკამენტებისადმი მგრძობელობის ფენოტიპური ტესტირება) დიაგნოსტიკის მთავარ პრინციპებად რჩება, თუმცა ახალი მოლეკულური კვლევების უპირატესობა იმაშია, რომ ისინი საკვანძო ინფორმაციას მოკლე დროში იძლევიან. ტუბერკულოზის გამომწვევის აღმომჩენი და რიფამპინისადმი მგრძობელობის განმსაზღვრელი ახალი ავტომატიზირებული პლატფორმების მთელს მსოფლიოში დანერგვამ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის (MDR-TB) დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა [9]. ინოვაციური მოლეკულური ტესტების დანერგვამ ტუბერკულოზის სწრაფი დიაგნოსტიკა, მინიმუმ საკვანძო მედიკამენტებისადმი (რიფამპინის, იზონიაზიდის, ფთორქინოლონებისადმი) მგრძობელობის განსაზღვრა და ეფექტური მკურნალობის დროულად ინიცირება გახადა შესაძლებელი [5]. ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მ.შ. რეზისტენტული ტუბერკულოზის უფრო სენსიტიური, ზუსტი და ხელმისაწვდომი, ასევე ჯანდაცვის სისტემის გარეთ განხორციელებადი დიაგნოსტიკური ტესტების არსებობა „დავასრულოთ ტუბერკულოზის“ სტრატეგიის (End TB Strategy) 2035 წლის მიზნების მიღწევის ერთ-ერთი საკვანძო წინაპირობაა [9].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Global Tuberculosis Report; WHO, 2023;
2. ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინი, 2023 საქართველო;
3. Mbuh TP, Ane-Anyangwe I, Adeline W, Thumamo Pokam BD, Meriki HD, Mbacham WF. Bacteriologically confirmed extra pulmonary tuberculosis and treatment outcome of patients consulted and treated under program conditions in the littoral region of Cameroon. *BMC Pulm Med.* 2019 Jan 17;19(1):17
4. Mathiasen VD, Andersen PH, Johansen IS, Lillebaek T, Wejse C. Clinical features of tuberculous lymphadenitis in a low-incidence country. *Int Infect Dis.* 2020 Sep;98:366-371
5. Global Tuberculosis Report; WHO, 2019
6. World Health Organization. The end TB strategy [Internet]. 2015 [cited 2022 Nov 8]. Available from: <https://www.who.int/publications-detail-redirect/WHO-HTM-TB-2015.19>
7. Fact sheets (WHO). Tuberculosis [Internet]. 2021 [cited 2022 Jun 29]. Available from: <https://www.who.int/es/news-room/fact-sheets/detail/tuberculosis>
8. Matteelli A, Rendon A, Tiberi S, Al-Abri S, Voniatis C, Carvalho ACC, et al. Tuberculosis elimination: where are we now? *Eur Respir Rev.* 2018;27:180035
9. Tuberculosis“ ERS monograph, 2018
10. Global Tuberculosis Report; TB Profile, Georgia; WHO, 2023

ვიორჯი მღვდელაძე, კახა ვაჭარაძე
ტუბერკულოზი – მსოფლიო გამოწვევა
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფთიზიატრიის დეპარტამენტი

რეზიუმე

ტუბერკულოზი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც Mycobacteria tuberculosis (MTB) იწვევს. ტუბერკულოზი რჩება ერთ-ერთ ყველაზე მომაკვდინებელ ინფექციურ დაავადებად, რომელიც იწვევს მილიონობით სიკვდილს ყოველწლიურად მსოფლიო მასშტაბით. ტუბერკულოზი რადგან ნელა პროგრესირებადი, ხშირად სიმპტომები დასაწყისში არ ვლინდება, დროთა განმავლობაში მეტად გამოხატული ხდება და დამოკიდებულია დაავადების გამოვლინების ადგილზე. ტუბერკულოზის ადრეული დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია ტუბერკულოზის კონტროლისთვის, როგორც პაციენტების სამკურნალოდ, ასევე საზოგადოებაში ინფექციის გადაცემის შესაჩერებლად. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ტუბერკულოზის კონტროლის ხელშესაწყობად მრავალი სტრატეგია წამოიწყო, მათ შორის DOTS სტრატეგია და "დავასრულოთ ტუბერკულოზი" 2035 წლისთვის.



*IRMA KORINTELI¹, MALVINA JAVAKHADZE², LIA GELAZONIA¹, NATO GUBELIDZE¹,
 NINO JANASHIA¹, LELI SHANIDZE¹, IRINE KORINTELI¹*

COVID-19 AND EPSTEIN-BARR VIRUS IN CHILDREN, POST PANDEMIC CHALLENGE

¹Tbilisi State Medical University, Givi Zhvania pediatric clinic;

²Acad.V.Bochorishvili clinic, Pediatric department, Tbilisi, Georgia

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.02.16>

*ირმა კორინთელი¹, მალვინა ჯავახაძე², ლია გელაზონია¹, ნატო გუბელიძე¹,
 ნინო ჯანაშია¹, ლელი შანიძე¹, ირინე კორინთელი¹*

COVID-19 და ებშტეინ ბარის ვირუსით ინფიცირება ბავშვებში, პოსტ პანდემიური გამოწვევა

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა; ²აკად. ვ. ბოჭორიშვილის კლინიკის პედიატრიული დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

ჩვენი კვლევის მიზანი იყო COVID-19-ის გადატანის შემდეგ ებშტეინ-ბარის ვირუსით გამოწვეული დაავადებების სიხშირის დადგენა და კლინიკურ-ლაბორატორიული მახასიათებლების გამოვლენა ბავშვებში. 2021-2023 წლებში თსუ გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში ჩატარდა ღია პროსპექტიული კლინიკური კვლევა. კვლევაში ჩართული იყო 217 პაციენტი, 109 გოგონა (50,23%), 108 ვაჟი (49,76%), ასაკი 3-7 წელი. პაციენტების ექიმთან მომართვის ჩივილები იყო: ცხელება, რესპირაციული სიმპტომები, აბდომინალგია. ყველა პაციენტს ჩატარდა კლინიკური-პარაკლინიკური კვლევები. ებშტეინ-ბარის ლაბორატორიული ტესტირება მოხდა სეროლოგიური კვლევით (ანტივირუსული კაფსიდური, ჰეტეროფილური ანტისხეულების განსაზღვრა). 217 ბავშვიდან, რომელთაც 2-3 თვით ადრე ჩატარებული ჰქონდათ მკურნალობა COVID 19 გამო, 105-ს (48,38%) დაუდგინდა ებშტეინ-ბარის ვირუსით გამოწვეული დაავადება, მათგან 69-ს (65,71%) ანამნეზში ჰქონდა მონონუკლეოზის ისტორია. კლინიკურ-პარაკლინიკური მონაცემებიდან მაღალი სიხშირით გამოვლინდა ცხელება - 92 (87,61%), მონოციტოზი - 68 (64,76%), ლიმფოციტოპენია - 42 (40%), სპლენომეგალია - 48 (45,71%), მუცლის ტკივილი - 34 (40,95%).

დასკვნა: ებშტეინ-ბარის ვირუსით ინფიცირების სიხშირე საყურადღებო მაჩვენებელს აღწევს იმ ბავშვებში, რომლებსაც ჩატარებული ჰქონდა მკურნალობა COVID-19 დიაგნოზით 2-3 თვით ადრე. კლინიკურ-პარაკლინიკური მონაცემებიდან უხშირესად გამოვლინდა ცხელება, ჰეპატო-სპლენომეგალია, ლიმფადენოპათია, მუცლის ტკივილი, მონოციტოზი.

Introduction. The coronavirus disease 2019 (COVID-19) pandemic is a global outbreak of coronavirus – an infectious disease caused by the severe acute respiratory syndrome coronavirus 2 - SARS-CoV-2 [3,4]. Coronavirus disease 2019 reported first in December 2019 in Wuhan, China [7]. In May 2023 it was declared that COVID-19 is no longer a public health emergency of international concern [5].

It has been established that SARS-CoV-2 infection has an effect on the immune system. SARS-CoV-2 infections mostly lead to mild or even asymptomatic infections in children, but the reasons for this are not fully understood [1]. According to some of researches the innate immune response is usually not sufficient to clear SARS-CoV-2 viruses, and the virus persists for months in immunocompromised individuals, especially those with severe T cell deficiencies [1,3]. The World Health Organization (WHO) describes long COVID as a wide range of new, returning or ongoing health problems that people experience more than a month after initial infection with the SARS-CoV-2 virus [2]. Some people may experience long-term effects from SARS-CoV-2 infection, known as "long COVID-19." This condition can affect people of all ages, including those who initially had mild symptoms [5]. Therefore, in Post-Pandemic period, increased incidence of infectious diseases in children among them Epstein-Barr virus infections is remarkable. Recent studies have observed Epstein-Barr virus (EBV) reactivation in patients with severe illness or long COVID, which may contribute to associated symptoms [6].

Aim of our study was to detect incidence, clinical and laboratory features of Epstein-Barr virus (EBV) infections in children infected with Sars Cov2 in the past.

Methods: An open prospective clinical trial was performed in TSMU G.Zhvania pediatric clinic in 2021-2023. A total of 217 patients were included in the study, female -109 (50,23%), male - 108 (49,76%), age 3-7 years. All patients were investigated: clinical symptoms and full blood count, C-reactive protein, EBV serology (anti-viral capsid antigen IgM and IgG [anti-VCA IgM and anti-VCA IgG]), heterophile antibodies IgM [HA IgM], anti-nuclear antigen IgG [anti-EBNA IgG], and anti-early antigen IgG [anti-EA IgG]), abdominal ultrasound.

Results: Total 217 children were infected with Sars Cov 2 in the past, in 105 (48,38%) of them EBV infection was diagnosed 2-3 months after acute SARS-CoV-2 infection. 69 (65,71%) of them had a history of mononucleosis. Patients' complaints were: fever, respiratory symptoms and abdominal pain. The frequency of clinical symptoms was: fever – 92 (87,61%), nasal obstruction – 56 (53,33%), Enlarged tonsils – 37 (35,23%), Swollen lymph nodes in the neck – 42 (40%), Snoring – 38 (36,19%), Cough – 32 (30,47%), Fatigue – 21 (20%), Splenomegaly – 48 (45,71%), Abdominal pain – 34 (40,95%), Rash – 26 (24,76%), Headache -12 (11,42%), Eyelid edema – 19 (18,09%). Leukocytosis – 27 (25,71%), Neutrophilia – 11 (10,47%), Lymphocytosis – 43 (40,95%), Monocytosis – 68 (64,76%), increase quantity of Platelets – 21 (20%), Anemia – 19 (18,09%), increase quantity of C-reactive protein – 26 (24,76%).

Epstein-Barr Virus serological testing results:

- HA IgM, VCA IgM, VCA IgG – pos – 68 (64,76%)
- VCA IgM, VCA IgG – pos – 37 (35,93%)

Conclusion: The incidence of Epstein-Barr virus is notable in children who have been infected with Sars Cov 2 in the past. The frequency of fever, splenomegaly, lymphadenopathy, abdominal pain and monocytosis is high in these patients.

References:

1. Petter Brodin „SARS-CoV-2 infections in children: Understanding diverse outcomes [https://www.cell.com/immunity/pdf/S1074-7613\(22\)00043-7.pdf](https://www.cell.com/immunity/pdf/S1074-7613(22)00043-7.pdf)
2. Aristo Vojdani, Elroy Vojdani, Evan Saidara „Persistent SARS-CoV-2 Infection, EBV, HHV-6 and Other Factors May Contribute to Inflammation and Autoimmunity in Long COVID“ *Viruses* 2023, 15(2), 400; <https://doi.org/10.3390/v15020400>

3. Irine Korinteli, Irma Korinteli, Leli Shanidze, Mzia Khalvashi, Eliso Turkadze. Epstein-Barr Virus Infection in Children Following Acute SARS-CoV-2 Infection. Georgian Biomedical News 1(ISSUE 2)
4. The coronavirus disease 2019 (COVID-19) pandemic - <https://www.who.int/europe/emergencies/situations/covid-19>
5. COVID-19 - <https://www.ecdc.europa.eu/en/covid-19>, European Centre for Disease Prevention and Control
6. Keishanne Danielle E. Bernal, Christopher B. Whitehurst „Incidence of Epstein-Barr virus reactivation is elevated in COVID-19 patients“- Virus Res. 2023 Sep; 334: 199157. Published online 2023 Jun 26. doi: 10.1016/j.virusres.2023.199157
7. Elda Skenderi, Admir Sulovari, Gjeorgjina Kuli-Lito, Nilsa Shahini, Griselda Toci, Ada Pema „COVID-19 and EBV Co-Infection in a Child“- Journal of Biosciences and Medicines, Vol.9 No.5, May 2021

*IRMA KORINTELI¹, MALVINA JAVAKHADZE², LIA GELAZONIA¹, NATO GUBELIDZE¹,
NINO JANASHIA¹, LELI SHANIDZE¹, IRINE KORINTELI¹*

COVID-19 AND EPSTEIN-BARR VIRUS IN CHILDREN, POST PANDEMIC CHALLENGE

¹Tbilisi State Medical University, Givi Zhvania pediatric clinic;

²Acad.V.Bochorishvili clinic, Pediatric department, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Aim of our study was to detect incidence, clinical and laboratory features of Epstein-Barr virus (EBV) infections in children infected with Sars Cov2 in the past. An open prospective clinical trial was performed in TSMU G.Zhvania pediatric clinic in 2021-2023. A total of 217 patients were included in the study, female – 109 (50,23%), male - 108 (49,76%), age 3-7 years. All patients were investigated: clinical symptoms and full blood count, C-reactive protein, EBV serology (anti-viral capsid antigen IgM and IgG [anti-VCA IgM and anti-VCA IgG]), heterophile antibodies IgM [HAIgM], anti-nuclear antigen IgG [anti-EBNA IgG], and anti-early antigen IgG [anti-EA IgG]), abdominal ultrasound.

Results: Total 217 children were infected with Sars Cov 2 in the past, in 105 (48,38%) of them EBV infection was diagnosed 2-3 months after acute SARS-CoV-2 infection. 69 (65,71%) of them had a history of mononucleosis. Patients' complaints were: fever, respiratory symptoms and abdominal pain. From the clinical-paraclinical data, fever was detected with a high frequency in 92 (87.61%), monocytosis – 68 (64.76%). Lymphadenopathy – 42 (40%), splenomegaly – 48 (45.71%), abdominal pain – 34 (40.95%).

Conclusion: The incidence of Epstein-Barr virus is notable in children who have been infected with Sars Cov 2 in the past. The frequency of fever, splenomegaly, lymphadenopathy, abdominal pain and monocytosis is high in these patients.

Keywords: Covid-19, Epstein-Barr, children, post pandemic



თამარ არახამია¹, მაია ხერხეულიძე², ლიანა ჯორჯოლიანი³, ივანე ჩხაიძე¹,
ნანი ყავლაშვილი², ეკა კანდელაკი²

ტყვიის ექსპოზიციის წყაროები და რისკ-ფაქტორები ბავშვებში (აჭარის რეგიონი)

¹ მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ² თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ³ ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.02.17>

TAMAR ARAKHAMIA¹, MAIA KHERKHEULIDZE², LIANA ZHORZHOLIANI³, IVANE
CHKHAIDZE¹, NANI KAVLASHVILI², EKA KANDELAKI²

THE SOURCES AND RISK FACTORS OF LEAD EXPOZURE IN CHILDREN OF ADJARA REGION OF GEORGIA

¹ M. Iashvili Children's Central Hospital, ² Tbilisi State Medical University,

³ I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The purpose of our study was to evaluate blood lead level, to determine the main sources of lead exposure in children living in the Adjara region and to identify priority risk factors of high blood lead level. 90 children aged 3-14 years participated in the one-time, cross-sectional study. 61% of studied children had an increase lead concentration in venous blood. The mean lead concentration was $17,25 \pm 7,73$ $\mu\text{g/dL}$ (median 16.82 $\mu\text{g/dL}$). The comparative analysis revealed that the probable risk factors of lead exposure in the Adjara region can be attributed to the old house (OR-7,556, CI-2,52-22,60, P-0.000), old renovation (OR-7,884, CI-2, 06-30,08, P-0.001), putting things into mouth and pica (OR-2,791, CI-1,06-7,28, P-0.034). In terms of food high lead levels in blood is associated with frequent consumption of spices (OR-7,556, CI-2,52-22,60, P-0,000), potatoes (OR-9,750, CI-1,13-83,76, P-0,014) and imported confectionery food (OR-3,054, CI-1,11-8.33, P-0,027). So, it is very important to follow the recommendations of CDC for conducting regular screenings of lead level in children for timely identification of lead exposure, for implementation of prevention strategy and adequate management to minimize problems associated with lead exposure.

Keywords: risk factors, lead exposure, children, Adjara Region, Georgia

ტყვია და მისი შენაერთები წარმოადგენენ ყველაზე ტოქსიურ ნივთიერებებს მძიმე მეტალებს შორის, რომლებიც ხასიათდებიან გარემოში მაღალი მდგრადობით, ადამიანის ორგანიზმზე კომპლექსური მოქმედებით და ბიოკუმულაციის უნარით. მაღალი ტოქსიურობის გამო, ტყვია განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ეკოპოლუტანტი. ჯანმოს მონაცემებით, ავადობის ტვირთის 0,6% განპირობებულია ტყვიის ზემოქმედებით [20]. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ტყვია წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმის რეზისტენტობის დაქვეითების არასპეციფიკურ ფაქტორს, რომელიც ინვეს იმუნოლოგიური რეაქტიობის შემცირებას, ნევროლოგიური, ენდოკრინული, ალერგიული და აუტოიმუნური პათოლოგიის ფორმირებას [7].

მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად ხდება ტყვიის ტოქსიური მაჩვენებლების დონის გადახედვა, დადგენილია, რომ ორგანიზმში მისი ნებისმიერი დონე მავნე ზემოქმედებას ახდენს ჯანმრთელობაზე [20]. არაერთი კვლევის მონაცემებით ნაჩვენებია, რომ ბავშვთა ასაკში სისხლში ტყვიის მაღალ კონცენტრაციას უკავშირდება ანემია, განვითარების და ქცევითი დარღვევები, პერიფერიული ნერვული სისტემის დისფუნქცია, მხედველობის დაქვეითება, მეტყველების პრობლემები, ინტელექტუალური ფუნქციების შეფერხება, ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი და სხვა [4,6]. ბავშვთა ასაკში ტყვიის აბსორბციის უნარი 4-5-ჯერ უფრო მაღალია ვიდრე მოზრდილებში, რის გამოც გაცილებით ხშირია ტყვიის მაღალი მაჩვენებლის არსებობა და ტყვით უსიმპტომო ინტოქსიკაცია [10]. მრავალრიცხოვანი კვლევებით, ბავშვთა ტყვით ინტოქსიკაციის რისკის ფაქტორებს მიეკუთვნება ხუთ წელზე უმცროსი ასაკი, ოჯახის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, 1978 წლამდე აშენებულ საცხოვრებელ სახლებში ცხოვრება, იმპორტირებული საკვების, მედიკამენტების და ჭურჭლის გამოყენება [9,13,16].

ტყვიის პოტენციურ წყაროებს მიეკუთვნება ტყვიისშემცველი საღებავი, სამრეწველო ნარჩენები, ჰაერი, ნიადაგი, წყალი, სათამაშოები, ფერადი მინა, ბროლის ჭურჭელი, კერამიკა, სამკაულები და პარფიუმერული ნაწარმი [8]. აგრეთვე, ძველ საცხოვრებელ სახლებში შემორჩენილი ტყვიის შემცველი საღებავი, წყლის მილები და ქალაქის მტვერი [19]. მთელ რიგ კვლევებში მოწოდებულია ინფორმაცია ნიადაგიდან და ჰაერიდან დაბინძურებული საკვები პროდუქტების შესახებ, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ტყვიის დონის მატების სავარაუდო წყაროს ბავშვებში [14,15]. ბავშვებსა და მოზარდებში ტყვიით ინტოქსიკაციის რისკს ზრდის აგრეთვე მეტალის ჭარბი დოზით შთანთქმა, მიწასთან და ოჯახურ მტვერთან სიახლოვე, მავნე ჩვევები (პირში ნივთების ჩადება), პიკა (არასაკვები ინგრედიენტების მაგ: მინა, ცარცი და სხვ. მიღება), არაჯანსაღი კვებითი უპირატესობები და პიკაციზმი [12].

ტყვიის რაოდენობის შემცირების სტრატეგიული პროგრამები, რომლებიც ერთდროულად ჩატარდა რამდენიმე სახელმწიფოში, გულისხმობდა ტყვიის რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებას ან მის სრულ ელიმინაციას მანქანათმშენებლობაში, საღებავებში, ჰაერში, წყალსა და საკვებ პროდუქტებში. აღნიშნულის მიუხედავად, სადღეისოდ კვლავ რჩება ტყვიის ექსპოზიციის მრავალი წყარო, განსაკუთრებით განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში [3,21,22].

გაეროს ბავშვთა ფონდის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო სახელდება იმ ქვეყნებს შორის, სადაც საკმაოდ მაღალია ბავშვთა ასაკში ტყვიის მომატებული შემცველობის სიხშირე. ფართომასშტაბიანი კვლევის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობდა 1578 ბავშვი, გამოკვლეულთა 41%-ს სისხლში აღენიშნებოდა ტყვიის მაღალი დონე (5 მკგ/დლ-ზე მეტი) [1]. ტყვიის ექსპოზიციის სიხშირის მაღალი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს რეგიონები. ტყვიის შემცველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოცემული კვლევის მიხედვით დაფიქსირდა აჭარის რეგიონში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა აჭარის რეგიონში მცხოვრებ ბავშვებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა, ტყვიის ექსპოზიციის ძირითადი წყაროების დადგენა და პრიორიტეტული რისკის ფაქტორების გამოვლენა.

კვლევის დიზაინი. ერთმომენტიანი ქროს-სექციული კვლევა ჩატარდა აჭარის რეგიონში. საკვლევი კონტინგენტი შეირჩა შემთხვევითი რანდომიზაციის პრინციპით, თუმცა კვლევაში ჩართვის კრიტერიუმს წარმოადგენდა აჭარის მკვიდრი 3-დან 14 წლამდე ასაკის პოპულაცია და ოჯახები, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთსადამივე მისამართზე. კვლევაში ჩართვა ხდებოდა მშობლების და ბავშვის ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ. საკვლევი კონტინგენტი იყო 3-14 წლამდე ასაკის 90 ბავშვი.


კვლევის პირველ ეტაპზე ხდებოდა სისხლში ტყვიის მაჩვენებლის შეფასება. ვენურ სისხლში ტყვიის შემცველობის (Blood Lead Level - BLL) განსაზღვრა ჩატარდა სამედიცინო ლაბორატორიის „Medi Prime“-ს ბაზაზე (ატომურ-აბსორბციული მეთოდი, აპარატი Varian, გერმანია).

კვლევის მომენტში ინფორმაცია ბავშვთა ჯანმრთელობის შესახებ მოძიებული იქნა ამბულატორიულ რუქებში. ტყვიის ექსპოზიციის რისკის ფაქტორების დასადგენად, ანკეტის შედგენის დროს გამოყენებულ იქნა ბავშვთა ასაკში ტყვიის ზემოქმედების რისკის შეფასების კითხვარი (Childhood Lead Risk Assessment Questionnaire, Illinois Department of Public Health, 2015). დამატებითი ინფორმაცია მიღებულ იქნა მშობლებისგან, ტელეფონით ინტერვიუების მეთოდით. შესწავლილ იქნა ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ ბავშვის ორგანიზმში ტყვიის მოხვედრის მნიშვნელოვან წყაროს: საცხოვრებელი არეალი (Residential area), სიახლოვე ტყვიის სამრეწველო წყაროებთან, მავნე ჩვევები (ნივთების პირში ჩადება, პიკაციზმი), ფაქტორი კვების მენიუ და კვებითი უპირატესობები [11,17].

რისკის ფაქტორების მიმართ განსაზღვრულ იქნა რაოდენობრივი მაჩვენებლები: მანსების თანაფარდობა (OR), 95%-იანი სანდოობის ინტერვალი (CI), პირსონის კრიტერიუმი (χ^2) P-ს შესაბამისი მნიშვნელობით. სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებული იქნა პროგრამა SPSS/v12.

კვლევის შედეგები. გამოკვლეულ ბავშვთა 56,7%-ს წარმოადგენდა გოგონები, ხოლო 43,3%-ს - ვაჟები. საშუალო ასაკი იყო $4,73 \pm 2,60$ წელი, მედიანა 4 (რანგი 2-15). ვენურ სისხლში ტყვიის კონცენტრაციის მატება აღენიშნებოდა 55 ბავშვს (61,1%), 35 შემთხვევაში (38,9%) ტყვიის დონე ნაკლები იყო 5მკგ/დლ-ზე. ტყვიის კონცენტრაციის ცენტილური მაჩვენებლები წარმოდგენილია დიაგრამაზე 1.

დიაგრამა 1. ბავშვთა ვენურ სისხლში ტყვიის კონცენტრაციის ცენტილური მაჩვენებლები



ბავშვებში, რომელთა ვენურ სისხლში ტყვიის კონცენტრაცია აღემატებოდა 5მკგ/დლ-ს, საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 17,25±7,73 მკგ/დლ-ს, მედიანა 16,82-ს (რანგი 6,4-42,2), ხოლო ინტერცენტილური დიაპაზონი - 9,39მკგ/დლ-ს. ტყვიის ნორმალური კონცენტრაციის მქონე ბავშვებში საშუალო მაჩვენებელი იყო 2,30±0,93 მკგ/დლ, მედიანა - 2,04 (რანგი 0,84-3,99), ხოლო ინტერცენტილური დიაპაზონი - 1,41მკგ/დლ. განსხვავება მედიანურ მაჩვენებლებს შორის შეადგენდა 14,8მკგ/დლ-ს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ვენურ სისხლში ტყვიის მაღალი კონცენტრაციის მქონე ბავშვთა 25%-ში ტყვიის მატება აღენიშნებოდა ოჯახის სხვა წევრებსაც, ხოლო 60,0%-ში - მეგობრებსაც (OR-2,750, CI-1,24-9,87, χ^2 - 7,440, P-0,006).

ტყვიის მაღალი დონის მქონე ბავშვთა 65,5% ცხოვრობდა ძველ სახლში, მათ შორის 20% - 1950 წლამდე აშენებულ სახლში. ძველი რემონტი დაფიქსირდა შემთხვევათა 21,8%-ში; 38,2%-ში სახლი განთავსებული იყო ქუჩასთან ახლოს, ხოლო 27,3%-ში - სანარმოებთან (ქარხანა, შახტა, ბენზინგასამართი სადგური). კერამიკულ ჭურჭელს იყენებდა ოჯახების 67,3%, ხოლო ჩინურ სათამაშოებს მოიხმარდა - 60,0%. მანვე ჩვევებიდან ყურადსაღები იყო ნივთების პირში ჩადება და პიკას არსებობა (56,4%). ფაქტიური კვების შესწავლამ გამოავლინა, რომ ოჯახების 67,3% ხშირად მოიხმარდა სუნელებს, 70,9% - კარტოფილს, 43,6% - თევზს, 60,0 % - შოკოლადს, ხოლო 89,1% - იმპორტირებულ საკონდიტრო ნაწარმს.

რისკის ფაქტორების შესწავლის მიზნით ჩატარდა ობსერვაციული კვლევა „შემთხვევა-კონტროლი“. კომოგენურობის გათვალისწინებით (ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა, საცხოვრებელი არეალი) გამოკვლეული კონტინგენტიდან (n=90) შემთხვევათა ჯგუფში შერჩეულ იქნა 40 ბავშვი, ვენურ სისხლში ტყვიის მაღალი კონცენტრაციით, ხოლო კონტროლის ჯგუფში - 35 ბავშვი, სისხლში ტყვიის ნორმალური დონით (ცხრილი 1).

ჩვენს მიერ მიღებული შედეგებით, შეფარდებითი რისკის მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგი ფაქტორების მხრივ: ძველი სახლი (OR-7,556, CI-2,52-22,60, P-0.000), ძველი რემონტი (OR-7,884, CI-2,06-30,08, P-0.001), ნივთების პირში ჩადება და პიკას არსებობა (OR-2,791, CI-1,06-7,28, P-0.034).

საქართველოს მოსახლეობაზე სურსათისმიერი ტყვიის მანვე ზემოქმედების შეფასების აუცილებლობის საკითხი დადგა აშშ-ის ნიუ-ორკის ჯანდაცვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში დამზადებულ სუნელებს აქვს ტყვიის მაღალი შემცველობა. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, რომლის თანახმადაც, 2012 წლიდან 2017 წლამდე აღებული სასურსათო პროდუქციის ნიმუშების 2,38% არის ტყვიით დაბინძურებული [2].

ცხრილი 1. რისკის ფაქტორების რაოდენობრივი მაჩვენებლები შესადარებელ ჯგუფებში

რისკის ფაქტორები	შემთხვევა (n=40)	კონტროლი (n=35)	OR	CI	χ^2	P
ძველი სახლი	34 (85%)	15 (42,9%)	7,556	2,52-22,60	14,63	0,000
აშენებული 1950 წლამდე	10 (25%)	8 (22,9%)	1,125	0,38-3,26	0,047	0,828
ახალი რემონტი	18 (45%)	22 (62,9%)	1,992	0,77-5,14	2,06	0,151
ძველი რემონტი	17 (42,5%)	9 (25,81%)	7,884	2,06-30,08	10,98	0,001
ქუჩა სახლთან ახლოს	21 (52,5%)	19 (54,3%)	0,931	0,37-2,31	0,024	0,877
სამრეწველო ობიექტები სახლთან ახლოს	15 (37,5%)	8 (22,9%)	2,025	0,73-5,59	1,88	0,170
ნივთების პირში ჩადება, პიკაციზმი	29 (72,5%)	17 (48,6%)	2,791	1,06-7,28	4,50	0,034
კერამიკული ჭურჭელი	37 (92,5%)	35 (100%)	-	-	2,73	0,098
ჩინური სათამაშოები	31 (77,5%)	24 (68,6%)	1,579	0,56-4,43	0,76	0,383

საკვების მხრივ, ტყვიის დონის მატებასთან სარწმუნოდ ასოცირდებოდა სუნელების (OR–7,556, CI–2,52-22,60, P–0,000), კარტოფილის (OR–9,750, CI–1,13-83,76, P–0,014) და იმპორტირებული საკონდიტრო ნაწარმის (ჩუპა-ჩუპი, უელიბონი და სხვა) (OR–3,054, CI–1,11-8,33, P–0,027) ხშირად მოხმარება. საკვებ პროდუქტებს შორის, შეფარდებითი რისკის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა სუნელები (OR–7,556) და კარტოფილი (OR–9,750) (ცხრილი 2).


ცხრილი 2. კვებითი რისკის-ფაქტორების რაოდენობრივი მაჩვენებლები შესადარებელ ჯგუფებში

კვებითი ფაქტორები	შემთხვევა (n=40)	კონტროლი (n=35)	RR	CI	χ^2	P
სუნელები	34 (85%)	15 (42,9%)	7,556	2,52-22,60	14,638	0,000
თევზი	24 (60%)	24 (68,6%)	0,688	0,26-1,78	0,595	0,440
კარტოფილი	39 (97,5%)	28 (80,0%)	9,750	1,13-83,76	5,999	0,014
შოკოლადი	33 (82,5%)	29 (82,9%)	0,975	0,29-3,23	0,002	0,967
იმპორტირებული საკონდიტრო ნაწარმი	19 (47,5%)	8 (22,9%)	3,054	1,11-8,33	4,920	0,027

ტყვიით ინტოქსიკაცია ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობდა უსიმპტომოდ. გამოვლენილ ფსიქოფიზიოლოგიურ დარღვევებს შორის ჭარბობდა მოძრაობითი მოუსვენრობა (35%), უყურადღებობა (17,5%), თავის ტკივილი, ქცევის და ძილის დარღვევა, ათვისების პრობლემები; სომატურ სიმპტომებს შორის - მუცლის ტკივილი (27,5%), ყაზობა (15,0%) და უმადობა (15,0%).

თანმხლები სომატური პათოლოგიის მხრივ, ტყვიის მაღალი დონის მქონე ბავშვებში შედარებით უფრო ხშირი იყო რესპირაციული დაავადებები (OR–3,222, CI–1,091-9,517, χ^2 –4,705, P–0,030), ბრონქიტი (25 2,9%-ის წინააღმდეგ) და საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციური დარღვევები (27,5 20,0%-ის წინააღმდეგ). (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. თანხლები სომატური დაავადებები



ამრიგად, ჩვენი მასალის მიხედვით გამოვლინდა, რომ ვენურ სისხლში ტყვიის კონცენტრაციის მატება აღენიშნებოდა გამოკვლეულ ბავშვთა 61,1%-ს, ტყვიის კონცენტრაციის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა $17,25 \pm 7,73$ მკგ/დლ-ს, მედიანა 16,82-ს მკგ/დლ-ს, ხოლო განსხვავება მედიანურ მაჩვენებლებს შორის 14,78 მკგ/დლ-ს. ტყვიის მაღალი დონის მქონე ბავშვთა 65,5% ცხოვრობდა ძველ სახლში, კერამიკულ ჭურჭელს იყენებდა ოჯახების 67,3%, ჩინური სათამაშოებით სარგებლობდა 60,0%. საკვების მხრივ მაღალი იყო სუნელების (67,3%) და კარტოფილის (70,9%) გამოყენების სიხშირე.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ტყვიის ექსპოზიციის რისკ-ფაქტორებს, წყაროებს შეიძლება მივაკუთვნოთ ძველი სახლი (P=0.000), ძველი რემონტი (P=0.001), ნივთების პირში ჩადება (P=0.034); საკვების მხრივ - სუნელების (P=0,000), კარტოფილის (P=0,014) და იმპორტირებული საკონდიტრო ნაწარმის მოხმარება (P=0,027).

ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ემთხვევა უახლეს კვლევათა მონაცემებს, სადაც ტყვიის სავარაუდო წყაროდ განიხილება ძველი რემონტი და ძველი სახლი. Baek M და თანაავტორების მიერ 2021 წელს ჩატარებულ იქნა კვლევა 5 წლამდე ასაკის ბავშვებში. დადგინდა იქნა, რომ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს საღებავი, რომელიც გამოიყენებოდა 1978 წლამდე აშენებულ სახლებში [5].

6 წლამდე ასაკის ბავშვთა პოპულაციაში (n=290) ტყვიის დონესა და საცხოვრებელი ფართის მახასიათებლებს შორის ასოციაციური კავშირი შესწავლილ იქნა Crabbe და თანავტ. შრომაში (2022). ავტორების აზრით სახლის ხანდაზმულობა და ტიპი შესაძლოა წარმოადგენდეს ტყვიის ნეგატიური ეფექტების რისკის ირიბ მაჩვენებელს - საღებავის, წყლის მიწების და ტყვიის მტვრის ზემოქმედების შედეგად [11]. ტყვიის დონე შეფასებულ იქნა ბავშვებში (n=127), რომლებიც ცხოვრობდნენ ტექნოგენურ რაიონში (ქარხანა, შახტა). ტყვიის ზემოქმედება შეფასებულ იქნა, როგორც შერეული, სადაც 40% მოდიოდა ოჯახურ გარემოზე, ხოლო 60% ტექნოგენურ წყაროებზე [17].

დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა და ქალაქებმა უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი მიზნობრივი სკრინინგის გაიდლაინები. ბავშვებში ტყვიის კონცენტრაციის კვლევა უნდა ჩატარდეს 12 თვეში ერთხელ და განმეორდეს 24 ან 36 თვეში. CDC რეკომენდაციას უწევს უნივერსალური სკრინინგის ჩატარებას იმ ადგილებში, სადაც საცხოვრებელი ფართის 27%-ზე მეტი აშენდა 1950 წლამდე, ან სადაც 12-დან 36 თვემდე ასაკის ბავშვების მინიმუმ 12%-ს სისხლში აღენიშნება 10 მკგ/დლ-ზე მეტი ტყვიის დონე [16].

ტყვიის შემცველი მტვრის, საღებავების, სასმელი წყლის და პროდუქტების ზემოქმედება ბავშვებზე წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის არა მარტო

აშშ-ში და განვითარებულ ქვეყნებში, არამედ მთელს მსოფლიოში. განსაკუთრებით მონყვლად ჯგუფებს მიეკუთვნება ემიგრანტები, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები, ბავშვები ეთნიკური და რასობრივი უმცირესობებიდან. კლინიკისტებს ეძლევათ რეკომენდაცია გაითვალისწინონ ტყვიით მონამვლის მაღალი ინდექსი იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა უმადობა, მოძრაობითი მოუსვენრობა, ქცევის დარღვევა, მუცლის ტკივილი, ქრონიკული ყაბზობა და სხვა სიმპტომები [18]. ნობლოლოგიამდელი ცვლილებების დროული დიაგნოსტიკა და კორექცია პროფილაქტიკური ტოქსიკოლოგიის საფუძველია. მონაცემები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის სისხლში ტყვიის შემცველობის შესახებ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, ხოლო მონაცემები რეგიონის მასშტაბით ასახავს ზოგადად ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტურობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა საქართველოში - ეროვნული კვლევის შედეგები. 2019. <https://www.unicef.org/georgia/ka/>
2. სურსათში ტყვიასთან ასოცირებული რისკის შეფასების ანგარიში. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი 13.07.2018
3. Ahmad I, Khan B, Khan S, Khan MT, Schwab AP. Assessment of lead exposure among automobile technicians in Khyber Pakhtunkhwa, Pakistan. *Sci Total Environ*. 2018 Aug 15;633:293-299. doi: 10.1016/j.scitotenv.2018.03.160. Epub 2018 Mar 22. PMID: 29574373.
4. Axelrad DA, Coffman E, Kirrane EF, Klemick H. The relationship between childhood blood lead levels below 5µg/dL and childhood intelligence quotient (IQ): Protocol for a systematic review and meta-analysis. *Environ Int*. 2022 Nov;169:107475. doi: 10.1016/j.envint.2022.107475. Epub 2022 Aug 30. PMID: 36162279; PMCID: PMC9896788.
5. Baek M, Outrich MB, Barnett KS, Reece J. Neighborhood-Level Lead Paint Hazard for Children under 6: A Tool for Proactive and Equitable Intervention. *Int J Environ Res Public Health*. 2021 Mar 3;18(5):2471. doi: 10.3390/ijerph18052471. PMID: 33802321; PMCID: PMC7967606.
6. Bellinger DC. Very low lead exposures and children's neurodevelopment. *Curr Opin Pediatr*. 2008 Apr;20(2):172-7. doi: 10.1097/MOP.0b013e3282f4f97b. PMID: 18332714.
7. Boskabady M, Marefati N, Farkhondeh T, Shakeri F, Farshbaf A, Boskabady MH. The effect of environmental lead exposure on human health and the contribution of inflammatory mechanisms, a review. *Environ Int*. 2018 Nov;120:404-420. doi: 10.1016/j.envint.2018.08.013. Epub 2018 Aug 18. PMID: 30125858.
8. Dascanio, D., Olaz F.O., Fontaine, A.M.G., et al. The intellectual and academic performance of adolescents contaminated by lead: relation with social skills. *Temas em Psicologia*, 2012; 20(1):45-59.
9. Gao, Z., Cao, J., Yan, J., Wang, J., Cai, S., & Yan, C. Blood Lead Levels and Risk Factors among Preschool Children in a Lead Polluted Area in Taizhou, China. *BioMed Research International*, 2017. <https://doi.org/10.1155/2017/4934198>
10. Gordon JN, Taylor A, Bennett PN. Lead poisoning: case studies. *Br J Clin Pharmacol*. 2002 May;53(5):451-8. doi: 10.1046/j.1365-2125.2002.01580.x. PMID: 11994050; PMCID: PMC1874356.
11. Grabbe H, Verlander NQ, Iqbal N, Close R, White G, Leonardi GS, Busby A. 'As safe as houses; the risk of childhood lead exposure from housing in England and implications for public health'. *BMC Public Health*. 2022 Nov 9;22(1):2052. doi: 10.1186/s12889-022-14350-y. PMID: 36352379; PMCID: PMC9644560.
12. Hauptman M, Bruccoleri R, Woolf AD. An Update on Childhood Lead Poisoning. *Clin Pediatr Emerg Med*. 2017 Sep;18(3):181-192. doi: 10.1016/j.cpem.2017.07.010. PMID: 29056870; PMCID: PMC5645046.
13. Hsueh YM, Lee CY, Chien SN, Chen WJ, Shiue HS, Huang SR, Lin MI, Mu SC, Hsieh RL. Association of blood heavy metals with developmental delays and health status in children. *Sci Rep*. 2017 Mar 2;7:43608. doi: 10.1038/srep43608. PMID: 28252669; PMCID: PMC5333623.
14. Khan DA, Qayyum S, Saleem S, Ansari WM, Khan FA. Lead exposure and its adverse health effects among occupational worker's children. *Toxicol Ind Health*. 2010 Sep;26(8):497-504. doi: 10.1177/0748233710373085. Epub 2010 Jun 10. PMID: 20538706.

15. Kumar, S.; Islam, R.; Akash, P.B.; Khan, H.R.; Proshad, R.; Karmoker, J.; MacFarlan, G.R. Lead (Pb) Contamination in Agricultural Products and Human Health Risk Assessment in Bangladesh. *Water Air Soil Pollut.* 2022, 233, 257.
16. Mayans L. Lead Poisoning in Children. *Am Fam Physician.* 2019 Jul 1;100(1):24-30. PMID: 31259498.
17. Mandić-Rajčević S, Bulat Z, Matović V, Popević M, et al. Environmental and take-home lead exposure in children living in the vicinity of a lead battery smelter in Serbia. *Environ Res.* 2018 Nov;167:725-734. doi: 10.1016/j.envres.2018.08.031. Epub 2018 Aug 31. PMID: 30236521.
18. Olufemi AC, Mji A, Mukhola MS. Potential Health Risks of Lead Exposure from Early Life through Later Life: Implications for Public Health Education. *Int J Environ Res Public Health.* 2022 Nov 30;19(23):16006. doi: 10.3390/ijerph192316006. PMID: 36498077; PMCID: PMC9741093.
19. UK Government. The Water Supply (Water Quality) Regulations 2016 (as amended) for England. UK Statutory Instruments, No 614, 2016. London: The Stationery Office; 2016. Accessed 11/01/2022 Available from: URL <https://www.legislation.gov.uk/ukxi/2016/614/contents/made>. Last accessed 18 May 2022.
20. World Health Organization 2019 Lead Poisoning and Health (available at: www.who.int/news-room/fact-sheets/detail/lead-poisoning-and-health Accessed 19 February 2020)
21. Yabe J, Nakayama SMM, Ikenaka Y, Yohannes YB, Bortey-Sam N, Kabalo AN, Ntapisha J, Mizukawa H, Umemura T, Ishizuka M. Lead and cadmium excretion in feces and urine of children from polluted townships near a lead-zinc mine in Kabwe, Zambia. *Chemosphere.* 2018 Jul;202:48-55. doi: 10.1016/j.chemosphere.2018.03.079. Epub 2018 Mar 12. PMID: 29554507.
22. Zeng Z, Huo X, Zhang Y, Xiao Z, Zhang Y, Xu X. Lead exposure is associated with risk of impaired coagulation in preschool children from an e-waste recycling area. *Environ Sci Pollut Res Int.* 2018 Jul;25(21):20670-20679. doi: 10.1007/s11356-018-2206-9. Epub 2018 May 12. PMID: 29752673.

თამარ არახამია¹, მაია ხერხეულიძე², ლიანა ჟორჟოლიანი³, ივანე ჩხაიძე¹,
ნანი ყავლაშვილი², ეკა კანდელაკი²

ტყვიის ექსპოზიციის წყაროები და რისკ-ფაქტორები ბავშვებში (აჭარის რეგიონი)

¹ მ.იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ² თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ³ ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

კვლევის მიზანს შეადგენდა აჭარის რეგიონში მცხოვრებ ბავშვებში ტყვიის ექსპოზიციის ძირითადი წყაროების დადგენა და პრიორიტეტული რისკის ფაქტორების გამოვლენა. ერთმომენტიან კვლევაში მონაწილეობდა 3-დან 14-წლამდე ასაკის 90 ბავშვი. ვენურ სისხლში ტყვიის კონცენტრაციის მატება აღენიშნებოდა 61,1%-ს. ტყვიის კონცენტრაციის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 17,25±7,73მკგ/დლ-ს (მედიანა 16,82მკგ/დლ). შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აჭარის რეგიონში ტყვიის ექსპოზიციის სავარაუდო რისკ-ფაქტორებს, წყაროებს შეიძლება მივაკუთვნოთ ძველი სახლი (OR=7,556, CI=2,52-22,60, P=0.000), ძველი რემონტი (OR=7,884, CI=2,06-30,08, P=0.001), ნივთების პირში ჩადება და პიკაციზმი (OR=2,791, CI=1,06-7,28, P=0.034); საკვების მხრივ: სუნელების (OR=7,556, CI=2,52-22,60, P=0,000), კარტოფილის (OR=9,750, CI=1,13-83,76, P=0,014) და იმპორტირებული საკონდიტრო ნაწარმის (OR=3,054, CI=1,11-8.33, P=0,027) ხშირად მოხმარება.

ამრიგად, მეტად მნიშვნელოვანია დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების რეკომენდაციების მიხედვით, ბავშვებში რეგულარული ტყვიის სკრინინგის ჩატარება, მისი მაღალი მაჩვენებლების აღრეული იდენტიფიკაციის, ტყვიის მაღალ შემცველობასთან ასოცირებული დარღვევების პრევენციის და ადეკვატური მართვის სტრატეგიის განსახორციელებლად.





ავტორთა საყურადღებოდ!

1. ორიგინალური სტატია უნდა წარმოადგინოთ ერთ ეგზემპლარად, დაბეჭდილი 1,5 ინტერვალით, შრიფტის ზომა - 12 პუნქტი; ქართული, რუსული და ინგლისური ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, ფორმატში Microsoft Word.
2. სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და უნდა შეიცავდეს ციტირებული ლიტერატურის სიას, ცხრილებს და გრაფიკებს.
3. პირველ გვერდზე მიუთითეთ: 1) ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი სრულად; 2) სტატიის სათაური; 3) კათედრა, ლაბორატორია ან ორგანიზაცია, ქალაქი, ქვეყანა.
4. სტატიას უნდა დაერთოს რეზიუმე ინგლისურ და ქართულ ენებზე, თითოეული მოცულობით არა უმეტეს 0,5 გვერდისა.
5. ტექსტში ბიბლიოგრაფიული მითითებები აღნიშნეთ ნომრით, კვადრატულ ფრჩხილებში, ლიტერატურის ნუსხის შესაბამისად. მიუთითეთ ნაშრომის სახელწოდება, გამომცემლობა, წელი, ტომი, ნომერი და გამოშვება, გვერდების აღნიშვნით.
6. სტატიას ბოლოში ერთვის პირველი ავტორის ხელმოწერა, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, მისამართი და ტელეფონის ნომერი.
7. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია ითვებს უფლებას შეასწოროს და შეამოკლოს ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატია რეცენზენტის შენიშვნების გათვალისწინებით.
8. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია პასუხს არ აგებს გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.
9. ხელნაწერები, რომლებიც არ შეესაბამება აღნიშნულ წესებს, უბრუნდება ავტორს განხილვის გარეშე.

INFORMATION FOR AUTHORS

1. A single copy of an original article should be typed 1.5-spaced, font size 12, on sheets of paper with standard margins. It's desirable to submit an article typed in Microsoft Word.
2. The articles submitted should not be less than 5 typed pages, including list of references, tables and figures.
3. Page 1 should include: 1) the authors' full names; 2) the title of the article; 3) the department, laboratory and institution where the work has been carried out, city, country.
4. Abstract in English and Georgian (0.5 typed page in size) should be sent with the article.
5. References cited in the article text should be numbered in square brackets and according to the list of references where the authors are enumerated in alphabetical order. The author, title of the article, place of publication, publishing house, publication year, volume, number, edition number, pages (from-to) should be indicated.
6. At the end of the article, signatures of first author must be affixed along with academic degree, address, and phone number.
7. The editorial board retains the right to shorten and edit the articles sent, taking into consideration the reviewer's remarks.
8. The editorial board is nor responsible for the content of the published material.
9. Manuscripts not prepared according to the instructions will be returned to the authors without consideration.